



საქართველოს უნივერსიტეტი
ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა
სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ხელნაწერის უფლებით

დიანა ნემსაძე

საქართველოში ძუძუს კიბოს ტვირთისა და ტაქსონომიური თავისებურებების
ეპიდემიოლოგიური შეფასება

(სპეციალობა - 0904 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა)

დისერტაცია

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვასილ ტყეშელაშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2023

საავტორო უფლებები:

სადოქტორო დისერტაცია თემაზე:

საქართველოში ძუძუს კიბოს ტვირთისა და ტაქსონომიური თავისებურებების
ეპიდემიოლოგიური შეფასება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დიანა ნემსაძე © თბილისი, 2023 წლის

ანოტაცია

ჩატარებულ იქნა რეტროსპექტული ეპიდემიოლოგიური კვლევა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მასშტაბით, თბილისსა და მის რეგიონებში მოხდა ძუძუს კიბოს ინციდენტობისა და სტრუქტურის დაზუსტება. შესწავლილ იქნა: ძუძუს კიბოს ტვირთი და ინციდენტობა, 3- და 5-წლიანი გადარჩენა პოპულაციური რეგისტრის 2015-2022 წლების მონაცემების საფუძველზე. ასევე განხორციელდა საქართველოსა და თბილისში ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ტიპების სტრუქტურის, ტაქსონომიური ტიპების მიხედვით 3- და 5-წლიანი გადარჩენის, რეციდივებისა და მეტასტაზირების მაჩვენებლების დადგენა.

საქართველოში 2015-2022 წლებში ქალებში ძუძუს კიბოს ხვედრითი წილი შეადგენს ყველა ლოკაციის კიბოს 31.2%-ს და ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლის (ASR) მიხედვით იკავებს პირველ სარანგო ადგილს 10 ძირითად ლოკაციას შორის. 2015-2022 წლებში საქართველოს ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლებით ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჩანს, რომ საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე იზრდება ასაკის მატებასთან ერთად და აღწევს პიკურ დონეს 60 წლის ასაკის შემდეგ. საქართველოში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში დინამიკაში (2015-2017, 2017-2019, 2020-2022) აღინიშნა ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის სიხშირეების კლების ტენდენცია. თბილისში COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე შემცირების მიუხედავად, 30 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით (1988-1992) ინარჩუნებს ინციდენტობის 2-ჯერ მაღალ დონეს. ძუძუს კიბოს მიზეზით 2015-2022 წლებში საქართველოში გარდაიცვალა 3,232 (21.7%), ხოლო თბილისში- 1,110 (18.9%) ქალი.

შესწავლილ იქნა ძუძუს კიბოს 5-წლიანი და 3-წლიანი გადარჩენის ქვეყნის გასაშუალებული მაჩვენებლები და განხორციელდა მათი შედარება კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის მაჩვენებლებთან. კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებულმა მაჩვენებელმა შეადგინა 72.9%, ხოლო კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის - 80.8%. ძუძუს კიბოს დიაგნოზით კლინიკური ონკოლოგიის

ინსტიტუტში ნამკურნალე პაციენტებს, სხვა კლინიკებთან შედარებით, 1.5-ჯერ მაღალი ჰქონდათ 5-წლიანი გადარჩენის შანსები ($p < 0.001$).

შესწავლილ იქნა საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით ადრეული გარდაცვალების მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლების (YLL - Years of Life Lost) და ძუძუს კიბოს მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლები (DALYs) რეგიონების მიხედვით. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით 14,873 პაციენტის ადრეული გარდაცვალების მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლების რაოდენობამ სულ შეადგინა 48680.0 ქალიაწელი. თითოეულმა პაციენტმა საშუალოდ დაკარგა სიცოცხლის 11 წელი, ხოლო DALYs მიხედვით თითოეულმა პაციენტმა საშუალოდ დაკარგა სიცოცხლის 5.7 წელი.

კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, 2012-2022 წლებში, ძუძუს კიბოთი დაავადებული 1,985 პაციენტის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ჩატარდა რეტროსპექტული ეპიდემიოლოგიური კვლევა, კიბოს ტაქსონომიური სტრუქტურის (ქვეტიპები: Luminal A, Luminal-B + HER2-negative, Luminal-B + HER2-positive, HER2-positive, Triple negative) თავისებურებების დასადგენად. კვლევისას 9,7%-ში დადგინდა უცნობი ქვეტიპის არსებობა, რაც გამოწვეული იყო პაციენტის უსახსრობის გამო იმუნოჰისტოქიმიური კვლევის წარმოების შეუძლებლობით. ძუძუს კიბოს შემთხვევათა 1/3-ზე მეტი შეადგინა Luminal A ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (36.0%), 1/3 -Luminal-B + HER2-negative ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (33.9%), და 1/3-ზე ნაკლები სხვა ტაქსონომიურმა ქვეტიპებმა: Luminal-B + HER2-positive (7.9%), HER2-positive (5.6%), Triple negative (6.9%) და უცნობმა ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (9.7%). ქვეტიპების რაოდენობრივი მაჩვენებლები შესწავლილ იქნა რეგიონების მიხედვით.

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. გადარჩენის საშუალო დონესთან (80.8%) შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა Luminal B (84.7%), ხოლო ოდნავ დაბალი- HER2 Positive (79.5%). 5 წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (77.6%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს. მკურნალობიდან 5-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკი Luminal A ქვეტიპთან შედარებით 93.7-ჯერ მაღალია უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში, 40.4-ჯერ- Triple Negative

ქვეტიპის შემთხვევაში, 31.4-ჯერ HER2 Positive ქვეტიპის დროს და 20.4-ჯერ Luminal B ქვეტიპის დროს.

ძუძუს კიბოს ადვოკატობისა და მკურნალობის შორეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია ძუძუს კიბოს ტაქსონომიური მახასიათებლები შეტანილ იქნას კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემთა ბაზაში. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების იდენტიფიცირებისთვის, კვლევის იმუნოჰისტოქიმიური მეთოდი უნდა იყოს 100%-ით ხელმისაწვდომი და შეტანილ იქნას პროგრამული მართვის გაიდლაინში. ასევე რეკომენდებულია ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტთა ჯანმრთელობის ადვოკატობის, დაავადების ადრეული გამოვლინების და გარდაცვალების ტვირთის შემცირების მიზნით ძუძუს კიბოს ტვირთის მონიტორინგი და აღნიშნული მიმართულებით კვლევების გაგრძელება.

მოკლე ავტობიოგრაფია

მე, დიანა გიას ასული ნემსაძე, დავიბადე 13.02.1979 წელს ქალაქ ზესტაფონში მოსამსახურეების ოჯახში. მამა, გია ნემსაძე ექიმი. დედა ნანა ცქიტიშვილი რეჟისორი. 1985 წელს სწავლა დავიწყე ქ.თბილისის #146-ე სკოლაში სადაც ვსწავლობდი 1990 წლამდე. 1990 წლიდან სწავლა გავაგრძელე ქ.თბილისის #192-ე სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1996 წელს.

1996 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 2002 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი და მივიღე ზოდადი პროფილის ექიმის დიპლომი.

2002-2006 წლებში ვმუშაობდი უმცროსი ექიმის თანამდებობაზე ქ.თბილისის ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში, მამოლოგიურ განყოფილებაში. 2006-2011 წლებში ვმუშაობდი იმავე ცენტრის ექიმად, სპეციალობით, ონკოქირურგი. 2006 წლიდან ვარ ევროპის სამედიცინო ონკოლოგიის სკოლის (ESMO) წევრი.

2011 წლიდან მუშაობა განვაგრძე კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში ზოგადი ქირურგის, სუბსპეციალობით ონკოლოგია პოზიციაზე.

2017 წელს ჩავირიცხე დოქტორანტურის პროგრამაზე „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ ქ.თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, საიდანაც 2022

წელს მობილობით გადმოვედი საქართველოს უნივერსიტეტში და დღემდე ვარ ამ უნივერსიტეტის დოქტორანტი.

კონფერენციები: 2006 წლიდან მონაწილეობას ვიღებ ყოველწლიურ, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო (ESMO, ASCO, EPH) ევროპისა და ამერიკის კონგრესებსა და კონფერენციებში.

მადლიერების გამოხატვა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ ვასილ ტყემელაშვილს, კვლევის დაგეგმვაში მნიშვნელოვანი წვლილისთვის, აქტუალური და თანამედროვე მიმართულებების მოცემისათვის, სწორი აქცენტების მითითებისათვის.

მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი ოჯახის - მშობლების, მეუღლისა და შვილების მიმართ, რომლებიც გაგებითა და მოთმინებით იდგნენ ჩემს გვერდით სადოქტორო ნაშრომზე აქტიურად მუშაობის პერიოდში.

ჩემი კვლევა ტარდებოდა კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობით. განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მადლობა გადავუხადო „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის“ ადმინისტრაციას, მათ უანგარო დახმარებით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს რეტროსპექტიული მასალის მოძიებაში და დამუშავებაში.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს თანამშრომლებს და კოლეგებს, მათი გუნდური მუშაობის პრინციპი, დაუღალავი შრომა და პროფესიონალიზმი განაპირობებდა კვლევის დროულად დასრულებას.

დიდი მადლობა საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ყველა თანამშრომელს და პირადად სკოლის დირექტორს ქალბატონ თამარ ლობჯანიძეს 2019 წელს ჩემი მოტივირებისთვის.

დიდი მადლობა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციას კიბოს ეროვნული რეგისტრის სრული ვერსიის მოწოდებისათვის.

სარჩევი

ანოტაცია.....	3
მოკლე ავტობიოგრაფია.....	5
მადლიერების გამოხატვა.....	6
ნაშრომში მოყვანილი გრაფიკული დიაგრამების ჩამონათვალი.....	9
ნაშრომში მოყვანილი ცხრილების ჩამონათვალი.....	15
ნაშრომში გამოყენებული ტერმინები და აბრევიატურები.....	22
შესავალი.....	24
თემის აქტუალობა.....	24
კვლევის მიზანი.....	24
კვლევის ამოცანები.....	24
კვლევის სამეცნიერო სიახლე.....	26
კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება.....	27
დისერტაციის დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები.....	28
ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.....	29
ნაშრომის აპრობაცია.....	29
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	30
1.1. ძუძუს კიბოს გლობალური სტატისტიკური მონაცემები	30
1.2. ძუძუს კიბოს სტატისტიკური მონაცემები საქართველოში	35
1.3. ძუძუს კიბოს ქვეტიპები და ტაქსონომიის პროგნოზული ასპექტები	40
1.4. ძუძუს ტაქსონომიის ურთიერთკავშირი მეტასტაზირების სიხშირესა და ლოკალიზაციასთან	49
თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები	53
თავი III. კვლევის შედეგები	60
3.1. საქართველოში 2015-2022 წლებში ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის შესწავლა (ASR, AAR, CR64, CR74, PIR, SRR, SIR, SMR) რეგიონების მიხედვით, კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე.....	62
3.2. 2015-2022 წწ. საქართველოში ძუძუს კიბოს ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.....	76
3.3. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR, TASMR) დინამიკა ასაკობრივ ჯგუფებში.....	94
3.4. თბილისში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR, TASMR) დინამიკა ასაკობრივ ჯგუფებში.....	99
3.5. თბილისში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ინციდენტობის დინამიკა ბოლო 8 წელიწადში (2015-2017, 2017-2019 და 2019-2022) და 30 წლიანი პერიოდის გასვლის შემდგომ (1988-1992 / 2018-2022).....	104
3.6. თბილისში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ასაკისათვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებლების (ai) დინამიკა ბოლო 8 წელიწადში (2015-2017/2017-2019/2019-2022).....	108
3.7. თბილისში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, ხვედრითი წონა ონკოლოგიური და ყველა მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში, დინამიკა ბოლო 8 წელიწადში (2015-2017/2017-2019/2019-2022) და 17 წლიანი პერიოდის გასვლის შემდგომ (2003-2004 / 2020-2022)	111

3.8.	თბილისში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების ასაკისათვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებლების (ai) დინამიკა ბოლო 8 წელიწადში (2015-2017/2017-2019/2019-2022).....	114
3.9.	ძუძუს კიბოს 5-წლიანი და 3-წლიანი გადარჩენის ქვეყნის გასაშუალებული მაჩვენებლები და მათი შედარება კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის (კოი) მაჩვენებლებთან.....	117
3.10.	კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე საქართველოში, თბილისში და რეგიონებში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ტვირთის შეფასება (DALY).....	125
3.11.	რეზიუმე.....	133
<i>თავი IV. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური თავისებურებების კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური შეფასება.....</i>		<i>141</i>
4.1.	ძუძუს კიბოს ტაქსონომიური სტრუქტურა და რეგიონული ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებით	142
4.2.	ძუძუს კიბოს კლინიკური სტადიები და ტაქსონომიური ქვეტიპები.....	155
4.3.	ძუძუს კიბოს დიფერენცირების ხარისხი და ტაქსონომიური ქვეტიპები.....	166
4.4.	ძუძუს კიბოს ჰისტოტიპები და ტაქსონომიური ქვეტიპები.....	173
4.5.	ასაკობრივი ჯგუფები და ტაქსონომიური ქვეტიპები.....	177
4.6.	ძუძუს კიბოს მკურნალობის სახეები და ტაქსონომიური ქვეტიპები.....	196
4.7.	გადარჩენის ანალიზი ქირურგიული ჩარევის მასშტაბისა და ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	199
4.8.	გადარჩენის ანალიზი მკურნალობის მეთოდებისა და ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	211
4.9.	ძუძუს კიბოს შორეული რეციდივების ტაქსონომიური თავისებურებების კლინიკურ- ეპიდემიოლოგიური შეფასება.....	228
4.10.	რეზიუმე: ძუძუს კიბოს ტაქსონომიური თავისებურებების კლინიკური ეპიდემიოლოგიური შეფასება.....	233
<i>თავი V. პედიატრიული ასაკის ჰეტეროგენული ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნე: იშვიათი კლინიკური შემთხვევა.....</i>		<i>253</i>
<i>თავი VI. რეზიუმე.....</i>		<i>259</i>
<i>დასკვნები.....</i>		<i>287</i>
<i>პრაქტიკული რეკომენდაციები.....</i>		<i>289</i>
<i>გამოყენებული ლიტერატურა.....</i>		<i>290</i>

ჯგუფებში (0-39).....	115
დიაგრამა 3.33. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს გარდაცვალების ასაკისათვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებლების (ai) დინამიკა 30 წლის მანძილზე ოთხი შესწავლილი პერიოდის მიხედვით 5-წლიან ასაკობრივი ჯგუფებში (40-59).....	115
დიაგრამა 3.34. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს გარდაცვალების ასაკისათვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებლების (ai) დინამიკა 30 წლის მანძილზე ოთხი შესწავლილი პერიოდის მიხედვით 5-წლიან ასაკობრივი ჯგუფებში (60+).....	116
დიაგრამა 3.35. ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებული მაჩვენებელი კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემების მიხედვით.....	117
დიაგრამა 3.36. ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის (2015-2019 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებული მაჩვენებელი კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემების მიხედვით.....	118
დიაგრამა 3.37. ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებული მაჩვენებელი კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემებით კლინიკური სტადიების მიხედვით.....	119
დიაგრამა 3.38. ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის (2015-2019 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებული მაჩვენებელი კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემებით კლინიკური სტადიების მიხედვით.....	120
დიაგრამა 3.39. ძუძუს კიბოს დიაგნოზით პაციენტთა 5-წლიანი (2015-2017 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გადარჩენის მაჩვენებელი თბილისში და რეგიონებში...	123
დიაგრამა 3.40. ძუძუს კიბოს დიაგნოზით პაციენტთა 3-წლიანი (2015-2019 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გადარჩენის მაჩვენებელი თბილისში და რეგიონებში..	124
დიაგრამა 3.41. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით უნარშეზღუდულობით გატარებული ცხოვრების წლების რაოდენობა (YLD) რეგიონების მიხედვით.....	126
დიაგრამა 3.42. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით ადრეული გარდაცვალების მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლების რაოდენობა (YLL) რეგიონების მიხედვით.....	127
დიაგრამა 3.43. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლები (DALY) რეგიონების მიხედვით.....	129
დიაგრამა 3.44. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს DALY-ის მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.....	131
დიაგრამა 3.45. თბილისში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს DALY-ის მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.....	133
დიაგრამა 4.1. ძუძუს კიბოთი პაციენტების განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	142
დიაგრამა 4.2. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში Luminal A ქვეტიპის სიხშირე რეგიონების მიხედვით.....	145
დიაგრამა 4.3. ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის სიხშირის ეპიდემიოლოგიური რუკა რეგიონების მიხედვით.....	146
დიაგრამა 4.4. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში Luminal B ქვეტიპის სიხშირე რეგიონების მიხედვით. წყარო: კვლევის შედეგები.....	146
დიაგრამა 4.5. ძუძუს კიბოს Luminal-B ქვეტიპის სიხშირის ეპიდემიოლოგიური	

რუკა რეგიონების მიხედვით.....	147
დიაგრამა 4.6. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში Luminal-B + HER2-negative ქვეტიპის სიხშირე რეგიონების მიხედვით.....	147
დიაგრამა 4.7. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში Luminal-B + HER2- positive ქვეტიპის სიხშირე რეგიონების მიხედვით.....	148
დიაგრამა 4.8. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში HER2- positive ქვეტიპის სიხშირე რეგიონების მიხედვით.....	148
დიაგრამა 4.9. ძუძუს კიბოს HER2- positive ქვეტიპის სიხშირის ეპიდემიოლოგიური რუკა რეგიონების მიხედვით.....	149
დიაგრამა 4.10. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში Triple negative ქვეტიპის სიხშირე რეგიონების მიხედვით.....	149
დიაგრამა 4.11. ძუძუს კიბოს Triple negative ქვეტიპის სიხშირის ეპიდემიოლოგიური რუკა რეგიონების მიხედვით.....	150
დიაგრამა 4.12. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის სიხშირე რეგიონების მიხედვით.....	150
დიაგრამა 4.13. ძუძუს კიბოს უცნობი ქვეტიპის სიხშირის ეპიდემიოლოგიური რუკა რეგიონების მიხედვით.....	151
დიაგრამა 4.14. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით 5-წლიანი გადარჩენა Kaplan-Maier-ის მრუდები. წყარო: კვლევის შედეგები.....	151
დიაგრამა 4.15. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით 3-წლიანი გადარჩენა Kaplan-Maier-ის მრუდები.....	152
დიაგრამა 4.16. ძუძუს კიბოს (კლინიკური სტადია 1) ტაქსონომიური ქვეტიპების 5-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	156
დიაგრამა 4.17. ძუძუს კიბოს (კლინიკური სტადია 1) ტაქსონომიური ქვეტიპების 3-წლიანი გადარჩენა Kaplan-Maier-ის მრუდები.....	157
დიაგრამა 4.18. ძუძუს კიბოს (კლინიკური სტადია 2) ტაქსონომიური ქვეტიპების 5-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	159
დიაგრამა 4.19. ძუძუს კიბოს (კლინიკური სტადია 2) ტაქსონომიური ქვეტიპების 3-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	160
დიაგრამა 4.20. ძუძუს კიბოს (კლინიკური სტადია 3) ტაქსონომიური ქვეტიპების 5-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	161
დიაგრამა 4.21. ძუძუს კიბოს (კლინიკური სტადია 3) ტაქსონომიური ქვეტიპების 3-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	163
დიაგრამა 4.22. ძუძუს კიბოს (კლინიკური სტადია 4) ტაქსონომიური ქვეტიპების 5-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	164
დიაგრამა 4.23. ძუძუს კიბოს (კლინიკური სტადია 4) ტაქსონომიური ქვეტიპების 3-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	165
დიაგრამა 4.24. ძუძუს კიბოს შემთვევების განაწილება დიფერენციაციის ხარისხისა და ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	167
დიაგრამა 4.25. ძუძუს კიბოს (დიფერენცირების ხარისხი Grade2) ტაქსონომიური ქვეტიპების 5-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	168
დიაგრამა 4.26. ძუძუს კიბოს (დიფერენცირების ხარისხი Grade2) ტაქსონომიური ქვეტიპების 3-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები.....	169
დიაგრამა 4.27. ძუძუს კიბოს დაბალი დიფერენცირების ხარისხის (G3) დროს ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით 5-წლიანი გადარჩენა, Kaplan-Maier-ის მრუდები. წყარო: კვლევის შედეგები.....	171

დიაგრამა 4.50. 3-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ქირურგიული ჩარევის ტიპის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში.....	200
დიაგრამა 4.51. რადიკალური ოპერაციის (HASc) შემდგომ პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	201
დიაგრამა 4.52. ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციის (HASB) შემდგომ პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	202
დიაგრამა 4.53. რადიკალური მასტექტომიის (HASc) და ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციის (HASB) შემდგომ 3 წლიან პერიოდში გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პაციენტებში.....	205
დიაგრამა 4.54. 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ქირურგიული ჩარევის ტიპის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში.....	206
დიაგრამა 4.55. 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები რადიკალური მასტექტომიის (HASc) ჯგუფში ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	207
დიაგრამა 4.56. 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევით პაციენტთა (HASB) ჯგუფში ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	209
დიაგრამა 4.57. 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პაციენტებში.....	211
დიაგრამა 4.58. 3-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები მკურნალობის მეთოდების მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში.....	212
დიაგრამა 4.59. 3-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევა) ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	213
დიაგრამა 4.60. 3-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ჯგუფში 2 (ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია) ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	215
დიაგრამა 4.61. 3-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ჯგუფში 3 (ქირურგიული ჩარევა და/ან მედიკამენტური თერაპია + რადიოთერაპია) ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	217
დიაგრამა 4.62. საკვლევი ჯგუფების 3-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პაციენტებში.....	219
დიაგრამა 4.63. 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ქირურგიული ჩარევის ტიპის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში.....	220
დიაგრამა 4.64. 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევა) ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	221
დიაგრამა 4.65. 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ჯგუფში 2 (ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია) ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	223
დიაგრამა 4.66. 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები ჯგუფში 3 (ქირურგიული ჩარევა და/ან მედიკამენტური თერაპია + რადიოთერაპია) ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	224
დიაგრამა 4.67. საკვლევი ჯგუფების 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მეიერის მრუდები 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პაციენტებში.....	227
დიაგრამა 4.68. ღვიძლში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	228
დიაგრამა 4.69. ძვლებში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება	

ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	229
დიაგრამა 4.70. ფილტვებში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	231
დიაგრამა 4.71. თავის ტვინში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	232

ნაშრომში მოყვანილი ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1.1. ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევები, საქართველო, 2015-2018	36
ცხრილი 1.2. ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2015-2018.....	37
ცხრილი 1.3. ქალებში ძუძუს კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება დაავადების სტადიის მიხედვით, საქართველო, 2015-2018	38
ცხრილი 2.1. ინვალიდობის წონის (DW) მაჩვენებლები	58
ცხრილი 3.1. საქართველოში 2015-2022 წწ. ქალებში ყველა ლოკაციის კიბოს ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები; რიგითობა განისაზღვრა ASR-ის მიხედვით.....	60
ცხრილი 3.2. საქართველოში 2015-2022 წწ. ქალებში პირველი 10 ლოკაციის კიბოს ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები	61
ცხრილი 3.3. 2015-2022 წლებში საქართველოს ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.....	62
ცხრილი 3.4. 2015-2022 წლებში საქართველოს ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	63
ცხრილი 3.5. 2015-2022 წლებში თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	63
ცხრილი 3.6. 2015-2022 წლებში აჭარის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	64
ცხრილი 3.7. 2015-2022 წლებში გურიის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	65
ცხრილი 3.8. 2015-2022 წლებში იმერეთის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	65
ცხრილი 3.9. 2015-2022 წლებში კახეთის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	66
ცხრილი 3.10. 2015-2022 წლებში მცხეთა-მთიანეთის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	67
ცხრილი 3.11. 2015-2022 წლებში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.	67
ცხრილი 3.12. 2015-2022 წლებში სამეგრელოსა და ზემო სვანეთის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.	68
ცხრილი 3.13. 2015-2022 წლებში სამცხე-ჯავახეთის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	68
ცხრილი 3.14. 2015-2022 წლებში ქვემო ქართლის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	69
ცხრილი 3.15. 2015-2022 წლებში შიდა ქართლის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	70

ცხრილი 3.33. ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR, TASMR) დინამიკა ≥ 60 წწ. ქალთა ასაკობრივ ჯგუფში თბილისში.....	102
ცხრილი 3.34. 2015-2022 წლებში საქართველოს ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების დინამიკა 3 პერიოდის მიხედვით.....	104
ცხრილი 3.35. 2015-2022 წლებში თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების დინამიკა 3 პერიოდის მიხედვით.....	105
ცხრილი 3.36. 2015-2017 წწ., 2017-2019 წწ., 2020-2022 წწ. და 1988-1992 წწ. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ასაკით სტანდარტიზებული (ASR) და სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SRR) მაჩვენებლები...	106
ცხრილი 3.37. 2015-2017 წწ., 2017-2019 წწ., 2020-2022 წწ. და 1988-1992 წწ. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ასაკისათვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებლების (ai) დინამიკა 30 წლის მანძილზე ოთხი შესწავლილი პერიოდის მიხედვით.....	108
ცხრილი 3.38. 2015-2022 წწ. საქართველოსა და თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლები.....	111
ცხრილი 3.39. 2015-2017 წწ., 2017-2019 წწ., 2020-2022 წწ. და 1988-1992 წწ. თბილისის მდებარეობითი სქესის მოსახლეობაში ასაკით სტანდარტიზებული სიკვდილიანობის (ASMR) და სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (SMRR) მაჩვენებლები.....	112
ცხრილი 3.40. 2015-2017 წწ., 2017-2019 წწ., 2020-2022 წწ. და 2002-2004 წწ. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს გარდაცვალების ასაკისათვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებლების (ai) დინამიკა 17 წლის მანძილზე ოთხი შესწავლილი პერიოდის მიხედვით.....	114
ცხრილი 3.41. კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემების მიხედვით, ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობით) გასაშუალებული მაჩვენებლის შედარება კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის გადარჩენის მაჩვენებელთან.....	118
ცხრილი 3.42. კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემების მიხედვით, ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის (2015-2019 წწ. ინციდენტობით) გასაშუალებული მაჩვენებლის შედარება კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის გადარჩენის მაჩვენებელთან.....	118
ცხრილი 3.43. ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის შანსები (HR) კლინიკური სტადიების ერთმანეთთან შედარების მიხედვით.....	120
ცხრილი 3.44. ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის შანსები (HR) კლინიკური სტადიების ერთმანეთთან შედარებით.....	121
ცხრილი 3.45. კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემების მიხედვით, ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობით) გასაშუალებული მაჩვენებლის შედარება კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის (კოი) გადარჩენის მაჩვენებელთან კლინიკური სტადიების მიხედვით.....	121
ცხრილი 3.46. კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემების მიხედვით, ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის (2015-2019 წწ. ინციდენტობით) გასაშუალებული მაჩვენებლის შედარება კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის (კოი) გადარჩენის მაჩვენებელთან კლინიკური სტადიების მიხედვით.....	122

ცხრილი 3.47. ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის შანსების (HR) თბილისში და რეგიონებში, რეგისტრისა და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის მონაცემების ერთმანეთთან შედარებით.....	123
ცხრილი 3.48. ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის შანსების (HR) თბილისში და რეგიონებში, რეგისტრისა და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის მონაცემების ერთმანეთთან შედარებით.....	124
ცხრილი 3.49. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით უნარშეზღუდულობით გატარებული ცხოვრების წლების რაოდენობა (YLD - Years Lived with a Disability) რეგიონების მიხედვით.....	125
ცხრილი 3.50. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით ადრეული გარდაცვალების მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლების რაოდენობა (YLL - Years of Life Lost) რეგიონების მიხედვით.....	127
ცხრილი 3.51. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს DALY-ის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით.....	128
ცხრილი 3.52. საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ასაკით სტანდარტიზებული უნარშეზღუდულობით კორექტირებული სიცოცხლის წლების (DALYs) მაჩვენებელი 100,000 ქალზე.....	130
ცხრილი 3.53. თბილისში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ასაკით სტანდარტიზებული უნარშეზღუდულობით კორექტირებული სიცოცხლის წლების (DALY) მაჩვენებელი 100,000 ქალზე.....	132
ცხრილი 4.1. ძუძუს კიბოთი პაციენტების განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	142
ცხრილი 4.2. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური სტრუქტურა საქართველოს რეგიონების მიხედვით.....	143
ცხრილი 4.3. პაციენტთა 5 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ქვეტიპების ერთმანეთთან შედარებით.....	152
ცხრილი 4.4. პაციენტთა 3 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ქვეტიპების ერთმანეთთან შედარებით.....	153
ცხრილი 4.5. პაციენტების განაწილება კლინიკური სტადიებისა და ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	155
ცხრილი 4.6. 1-ლი კლინიკური სტადიით პაციენტთა 5 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ქვეტიპების ერთმანეთთან შედარებით.....	157
ცხრილი 4.7. 1-ლი კლინიკური სტადიით პაციენტთა 3 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ქვეტიპების ერთმანეთთან შედარებით.....	158
ცხრილი 4.8. მე-2 კლინიკური სტადიით პაციენტთა 5 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ქვეტიპების ერთმანეთთან შედარებით.....	159
ცხრილი 4.9. მე-2 კლინიკური სტადიით პაციენტთა 3 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ქვეტიპების ერთმანეთთან შედარებით.....	161
ცხრილი 4.10. მე-3 კლინიკური სტადიით პაციენტთა 5 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR)	

წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ტიპების ერთმანეთთან შედარებით.....	203
ცხრილი 4.44. საკვლევ ჯგუფებში 3 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ტიპების მიხედვით...	204
ცხრილი 4.45. საკვლევ ჯგუფების პაციენტების განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	207
ცხრილი 4.46. რადიკალური მასტექტომიის (HASC) ჯგუფში 5 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ტიპების მიხედვით.....	208
ცხრილი 4.47. ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციის (HASB) შემდგომ პაციენტთა 3 წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ქვეტიპების ერთმანეთთან შედარებით.....	209
ცხრილი 4.48. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები საკვლევ ჯგუფების ცალკეული ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	210
ცხრილი 4.49. საკვლევ ჯგუფების პაციენტების განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	213
ცხრილი 4.50. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევა).....	214
ცხრილი 4.51. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით ჯგუფში 2 (ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია).....	215
ცხრილი 4.52. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით ჯგუფში 3 (ქირურგიული ჩარევა და/ან მედიკამენტური თერაპია + რადიოთერაპია).....	217
ცხრილი 4.53. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები საკვლევ ჯგუფების ცალკეული ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	218
ცხრილი 4.54. საკვლევ ჯგუფების პაციენტების განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	219
ცხრილი 4.55. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევა).....	222
ცხრილი 4.56. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით ჯგუფში 2 (ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია).....	223
ცხრილი 4.57. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით ჯგუფში 3 (ქირურგიული ჩარევა და/ან მედიკამენტური თერაპია + რადიოთერაპია).....	225
ცხრილი 4.58. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები საკვლევ ჯგუფების ცალკეული ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	226
ცხრილი 4.59. ღვიძლში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	228
ცხრილი 4.60. ძვლებში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	229
ცხრილი 4.61. ფილტვებში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	231
ცხრილი 4.62. თავის ტვინში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით.....	232

ნაშრომში გამოყენებული ტერმინები და აბრევიატურები

- კოი - კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი
- სდი – Socio-Demographic Index (SDI) - სოციალ-დემოგრაფიული ინდექსი (სდი - კომბინირებული ინდიკატორია და გამოთვლილია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის, განათლების დონისა და შვილების რაოდენობის მიხედვით).
- ჯანმო - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
- 95% CI – Confidence Intervals - სარწმუნოების 95%-იანი ინტერვალები
- AAR - Age-Adjusted Rate- ასაკით კორექტირებული მაჩვენებელი
- AAR-DALY – Age Adjusted Rate of Disability Adjusted Life Years - ასაკით სტანდარტიზებული უნარშეზღუდულობით კორექტირებული ცხოვრების წლები
- ACS – American Cancer Society - ამერიკის კიბოს საზოგადოება
- AI – Age-Specific Incidence - ასაკ-სპეციფიკური სიხშირის მაჩვენებელი
- ASR - Age-Standardized Rate - ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებელი
- ASMR - Age Standardized Mortality Rate - ასაკით სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი
- ASR-DALY – Age Standardized Rate of Disability Adjusted Life Years - ასაკით სტანდარტიზებული უნარშეზღუდულობით კორექტირებული ცხოვრების წლები
- C - Crude rate - უხეში მაჩვენებელი
- CDC - Centers for Disease Control and Prevention - დაავადებათა კონტროლის ცენტრები
- c-ERBB2 - Humanized Epidermal Growth Factor Receptor 2 / HER2/neu - ადამიანის ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორი 2
- Chi2-test - სტატისტიკური სარწმუნოების χ^2 -ტესტი
- CK – cytokeratine - ციტოკერატინი
- CR- Cumulative Risk - კუმულაციური რისკის მაჩვენებელი
- Crude Rate - უხეში მაჩვენებელი
- DALY – Disability Adjusted Life Years - უნარშეზღუდულობით კორექტირებული ცხოვრების წლები
- ENCR – European Network of Cancer Registries - კიბოს რეგისტრთა ევროპის ქსელი
- ER – Estrogen Receptors - ესტროგენის რეცეპტორები
- GBD - Global Burden of Disease - დაავადების გლობალური ტვირთი
- GEP - Gene Expression Profiling – გენის ექსპრესიის პროფილირება

HER2 - Human Epidermal Growth Factor Receptor 2 - ადამიანის ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორი 2

IARC - International Agency for Research on Cancer - კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო

IACR - International Association of Cancer Registries - კიბოს რეგისტრთა საერთაშორისო ასოციაცია

Incidence - ინციდენტობა

Ki67 - პროლიფერირებული უჯრედის ბირთვული ანტიგენი

Luminal-A - ლუმინალური A

Luminal-B - ლუმინალური B

NIH - National Institutes of Health - ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტები

NCI - National Cancer Institute - კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი

p - Probability - ალბათობა

PIR – Proportional Incidence ratio - ინციდენტობის პროპორციული შეფარდება

PR – Progesteron Receptors - პროგესტერონის რეცეპტორები

SEER - Surveillance, Epidemiology and End Results - ზედამხედველობა, ეპიდემიოლოგია და საბოლოო შედეგები (პროგრამა აშშ-ში)

SRR – Standardized Rate Ratio - სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების მაჩვენებელი

TASR - Truncated Age-Standardized Rate - შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებელი

Triple Negative - სამმაგი ნეგატიური

UICC – Union for International Cancer Control - კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირი

YLL – Years of Life Lost - ცხოვრების დაკარგული წლები

YLD – Years Lived with Disability - უნარშეზღუდულობით გატარებული ცხოვრების წლები

შესავალი

პრობლემის აქტუალობა:

ძუძუს კიბო წარმოადგენს გლობალურ პრობლემას მსოფლიოს მასშტაბით. გლობალური კიბოს (GLOBOCAN) 2020 წლის სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით მსოფლიოში რეგისტრირებული იქნა ქალის ძუძუს კიბოს 2.3 მილიონი და ამ მიზეზით გარდაცვალების 685,000 შემთხვევა.

2015 წლიდან NCDC-ის ბაზაზე კიბოს პოპულაციური რეგისტრის შექმნამ შესაძლებელი გახადა ძუძუს კიბოთი ავადობის ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესწავლა და მონიტორინგი.

2015-2019 წლებში საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობის, პროგრესირების, გარდაცვალების, 3-წლიანი გადარჩენის, ასევე- ქ. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ტვირთის მაჩვენებლები თავდაპირველად იქნა შესწავლილი სადოქტორო კვლევით თამთა გვაზავას (2021) მიერ.

კიბოს კონტროლის პოლიტიკის შემუშავების, ძუძუს კიბოს ადვოკატობის და ამ დაავადების გლობალური ტვირთის შემსუბუქების ხელშეწყობისთვის, დამატებით შესწავლას საჭიროებს: ძუძუს კიბოს ინციდენტობისა და გარდაცვალების სიხშირეები 3 წლით გაზრდილი პერიოდში (2015-2022); მკურნალობის შემდგომ კიბოს პროგრესირების, რეციდივებისა და მეტასტაზების განვითარების რისკების, 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლებით; ქ. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ტვირთის სტანდარტიზაცია-დაზუსტება; ძუძუს კიბოს ტაქსონომიური თავისებურებების შეფასება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის მიზანი, ამოცანები და დაიგეგმა მისი დიზაინი.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ძუძუს კიბოს ტვირთისა და ტაქსონომიური თავისებურებების ეპიდემიოლოგიური შეფასება, პრევენციული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანები:

1. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე საქართველოში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ინციდენტობის შესწავლა (ASR, AAR, CR64, CR74, PIR,

- SRR, ASMR, SMR) რეგიონებისა მიხედვით, ძუძუს კიბოს ეპიდემიოლოგიური რუკების მომზადება.
2. თბილისში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ინციდენტობის დინამიკა ბოლო 8 წელიწადში (2015-2018 / 2019-2022) და 30 წლიანი პერიოდის გასვლის შემდგომ (1988-1992 / 2018-2022)
 3. თბილისში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, ხვედრითი წონა ონკოლოგიური და ყველა მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში, დინამიკა ბოლო 8 წელიწადში (2015-2018 / 2019-2022) და 17 წლიანი პერიოდის გასვლის შემდგომ (2003-2004 / 2020-2022).
 4. თბილისში 2015-2017 წლებში ძუძუს კიბოთი პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენა დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური (ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია), შერწყმული, კომბინირებული, კომპლექსური) მიხედვით:
 5. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე საქართველოში, თბილისში, საქართველოს რეგიონებში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ტვირთის შეფასება (DALYs), სტანდარტიზაცია (ASR DALYs, AAR DALYs).
 6. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე 2012-2022 წლებში ძუძუს კიბოთი დაავადებული 1985 პაციენტის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ტაქსონომიური ჯგუფების (Luminal-A, Luminal-B, HER2-positive, Triple negative) სტრუქტურის დადგენა.
 7. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით 3 და 5-წლიანი გადარჩენის შესწავლა დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური: ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, შერწყმული, კომბინირებული) გათვალისწინებით.
 8. მოსალოდნელი პროგრესირების (რეციდივებისა და მეტასტაზების განვითარების) რისკების პროგნოზირება ტაქსონომიური ქვეტიპებისათვის (ლუმინალური-A ტიპი, ლუმინალური-B ტიპი, HER2/new-პოზიტიური, სამმაგად უარყოფითი (Triple negative)) დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის მეთოდების

(ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური: ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, შერწყმული, კომბინირებული) გათვალისწინებით.

9. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტების ჯანმრთელობის ადვოკატობის მიზნით პრევენციული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის სამეცნიერო სიახლე:

1. სტანდარტიზებული მაჩვენებლებით (ASR, AAR, CR₆₄, CR₇₄, TASR, SRR, PIR, SIR, ASMR, TASMR, 95% CI) 100,000 ქალზე, პირველად იქნა დადგენილი 2015-2022 წლებში საქართველოს რეგიონების მიხედვით ძუძუს კიბოს ინციდენტობის სტრუქტურა, მისი ასაკობრივი სპეციფიკა და დინამიკა.
2. პირველად იქნა დადგენილი როგორც საქართველოში, ისე თბილისში გამოვლენილი ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები კაპლან-მაიერის მრუდებით, გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox HR) ძუძუს კიბოს მკურნალობიდან 3- და 5-წლიან პერიოდებში, ასაკობრივი ჯგუფების, კლინიკური სტადიების, TNM-ს, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური (ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია), შერწყმული, კომბინირებული, კომპლექსური) და სიმსივნის ტაქსონომიური ტიპების მიხედვით.
3. პირველად იქნა შედარებული საქართველოს, თბილისის კლინიკების გასაშუალოებული და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის (კოი) ძუძუს კიბოს დიაგნოზით პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები კაპლან-მაიერის მრუდებით, გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox HR) ძუძუს კიბოს მკურნალობიდან 3- და 5-წლიან პერიოდებში.
4. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე საქართველოში, თბილისში, საქართველოს რეგიონებში 2015-2022 წლებში პირველად შეფასდა ძუძუს კიბოს ტვირთი (DALYs), პირველად განხორციელდა ტვირთის მაჩვენებლების სტანდარტიზაცია 100,00 ქალზე (ASR DALYs, AAR DALYs), პირველად დადგინდა 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის სპეციფიური ტვირთის (DALYs) მაჩვენებლები.
5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე 2012-2022 წლებში ძუძუს კიბოთი დაავადებული 1985 პაციენტის მონაცემთა ბაზის საფუძველზე პირველად იქნა დადგენილი საქართველოში, თბილისში, რეგიონებში ძუძუს კიბოს

ტაქსონომიური ჯგუფების სტრუქტურა (Luminal-A, Luminal-B, HER2-positive, Triple negative) და პირველად იქნა შემუშავებული ტაქსონომიური ეპიდემიოლოგიური რუკები.

6. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით პირველად იქნა დადგენილი 3 და 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური: ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, შერწყმული, კომბინირებული) გათვალისწინებით.
7. პირველად იქნა დადგენილი დაავადების მოსალოდნელი პროგრესირების (რეციდივებისა და მეტასტაზების განვითარების) რისკები ტაქსონომიური ქვეტიპებისათვის (ლუმინალური-A ტიპი, ლუმინალური-B ტიპი, HER2/new-პოზიტიური, სამმაგად უარყოფითი (Triple negative)) დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური: ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, შერწყმული, კომბინირებული) გათვალისწინებით.
8. პირველად იქნა დადგენილი ძუძუს კიბოს ადგილობრივი რეციდივებისა და შორეული მეტასტაზების განვითარების რისკები ძირითად შორეულ ლოკაციებში: ღვიძლში, ფილტვებში, ძვლებში, თავის ტვინში, სიმსივნის ტაქსონომიური ტიპების მიხედვით.
9. შექმნილი იქნა თეორიული საფუძვლები ძუძუს კიბოს მქონე პაციენტების ჯანმრთელობის ადვოკატობის მიზნით პრევენციული რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება:

1. ნაშრომში თავმოყრილია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები საქართველოს, მის რეგიონებში მცხოვრებ ქალებში ძუძუს კიბოს გავრცელების სიკვდილიანობის, ტვირთის და ტაქსონომიური თავისებურებების შესახებ.
2. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური მახასიათებლები რეკომენდებულია შეტანილი იქნას კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემთა ბაზაში, ეს ხელს შეუწყობს მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებას, 5-წლიანი გადარჩენის, დაავადების

პროგრესირების რისკების და გადარჩენის შანსების პროგნოზირებას, საქართველოს ერთიანი ტაქსონომიური ეპიდემიოლოგიური რუკების მომზადებას, ძუძუს კიბოს კონტროლის პრევენციული მუნიციპალური, რეგიონული და ქვეყნის მასშტაბით პროგრამების შექმნა-გაუმჯობესებას. რეკომენდებულია ძუძუს კიბოს ასაკობრივი, ტაქსონომიური და სხვა ეპიდემიოლოგიური რუკების გამოყენება, კიბოს კონტროლის პრევენციული, მათ შორის სკრინინგის რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების დაგეგმარებისას, რაც ხელს შეუწყობს ძუძუს კიბოს კონტროლის ადვოკატობას.

3. რეკომენდებულია ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტთა ჯანმრთელობის ადვოკატობის, დაავადების ადრეული გამოვლინების და გარდაცვალების ტვირთის შემცირების მიზნით ძუძუს კიბოს ტვირთის მონიტორინგი და აღნიშნული მიმართულებით კვლევის გაგრძელება. რეკომენდებულია ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ტიპების დროს ონკოგენების ექსპრესიის მოლეკულური ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესწავლა.
4. კვლევის ფარგლებში დადგენილი რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელება განაპირობებს ძუძუს კიბოს სწორ მართვას და სამომავლოდ შექმნის მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძველს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის.

დისერტაციის დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები:

1. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური მახასიათებლები აუცილებელია შეტანილი იქნას კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემთა ბაზაში, ეს ხელს შეუწყობს მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებას, 5-წლიანი გადარჩენის, დაავადების პროგრესირების რისკების და გადარჩენის შანსების პროგნოზირებას, საქართველოს ერთიანი ტაქსონომიური ეპიდემიოლოგიური რუკების მომზადებას, ძუძუს კიბოს კონტროლის პრევენციული მუნიციპალური, რეგიონული და ქვეყნის მასშტაბით პროგრამების შექმნა-გაუმჯობესებას.
2. ძუძუს კიბოს ასაკობრივი, ტაქსონომიური და სხვა ეპიდემიოლოგიური რუკების გამოყენება, კიბოს კონტროლის პრევენციული, მათ შორის სკრინინგის რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების დაგეგმარებისას, ხელს შეუწყობს ძუძუს კიბოს კონტროლის ადვოკატობას.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

დისერტაცია შედგება შესავალის, ექვსი თავის, კვლევით მიღებული ძირითადი შედეგების, დასკვნების, პრაქტიკული რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის, დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სიისა და დანართი CD-საგან. დისერტაცია დაწერილია 302 გვერდზე, APA-ს მოთხოვნების დაცვით, შეიცავს 119 ცხრილს და 137 დიაგრამას (მათ შორის 16 ეპიდემიოლოგიურ რუკას). გამოყენებული ლიტერატურის სია შეიცავს 119 წყაროს. დანართ CD-ზე ჩაწერილია სადოქტორო დისერტაციისა და მაცნეს (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ელექტრონული ვერსიები, მონაცემთა ელექტრონული ბაზა და დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.

ნაშრომის აპრობაცია:

სადისერტაციო ნაშრომის დებულებები და შედეგები მოხსენებულია ევროპის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მე-15 კონფერენციაზე (9-12 ნოემბერი, ბერლინი 2022); კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის შიდა სამეცნიერო კონფერენციაზე (15.02.2023, თბილისი); შეხვედრაზე გერმანიის კიბოს ასოციაციასთან DKG (German Cancer Society) (საქართველოს უნივერსიტეტი 16.03.2023, თბილისი); საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე (27.09.2023, თბილისი).

სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული შრომების სია:

1. Tkeshelashvili V, Gvazava T, Beruchashvili T, Shvelidze E, Nemsadze D. Breast cancer incidence and mortality in Georgia by regions and municipalities in 2015-2019 PhD Program: Public Health, School of Health Sciences, The University of Georgia, Tbilisi, Georgia (Abstract book of 15th European Public Health Conference 2022 Berlin, Germany)
2. Nishnianidze M, Kurashvili R, Nemsadze D, Skhiladze E, Gvaladze T. Effect of Ultralond Acting Insulin Analog Dgludec on Glycemia Control in Cancer Patients National Center for Diabetis Research; The Institute of Clinical oncology. (Abstract book of IDF Congress 2022 Lisbon, Portugal)
3. Nemsadze D, Tkeshelashvili V, Nemsadze G, Mchedlishvili M., A. Shemerovskiy MD, PFemale Pediatric Malignant Heterogenic Phyllodes Tumor: A Rare Case Report with Literature Review hD The University of Georgia, The Institute of Clinical Oncology, Tbilisi, Georgia (Med Case Rep Case Series 4(13): <https://doi.org/10.38207/JMCRCs/2023/JUL04130384>)

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ძუძუს კიბოს გლობალური სტატისტიკური მონაცემები

მთელ მსოფლიოში ძუძუს კიბო კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია. GLOBOCAN-ის 2018 წლის მონაცემებით, კიბოს სიხშირისა და სიკვდილიანობის შეფასების მიხედვით, ძუძუს კიბო იყო მეორე ყველაზე ხშირად დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ქალთა ყველა ლოკალიზაციის კიბოს 11.6%-ზე მეტს შეადგენს [1]. ქალთა შორის კიბოს მიზეზით სიკვდილიანობის მიხედვით ის მეხუთე ადგილზეა, რაც მსოფლიოში კიბოს მიზეზით სიკვდილიანობის 6.6%-ს შეადგენს. ის იწვევს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან ტვირთს, რაც ნიშნავს 14.8 მილიონ უნარშეზღუდულობით კორექტირებული ცხოვრების წლების (Disability Adjusted Life Years - DALYs) დაკარგვას [2-4]. განვითარებულ ქვეყნებში ძუძუს კიბოს სიხშირე მნიშვნელოვნად მაღალია; მაღალი ან ძალიან მაღალი განვითარების ინდექსის (სდი) მქონე ქვეყნებში მისი ასაკით სტანდარტიზებული ინციდენტობის მაჩვენებელი (Age Standardized Rate - ASR) იყო 54.5 ყოველ 100000 ქალზე, შედარებით დაბალი და საშუალო სდი ქვეყნებში 31.3 [1]. ქალთა პოპულაციაში ძუძუს კიბოთი სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი რჩება, რაც წარმოადგენს ქალთა შორის სიკვდილიანობის ყველაზე ხშირ მიზეზს [1].

ძუძუს კიბოს ეპიდემიოლოგიური ტენდენციების შესწავლა განსაკუთრებით ღირებულია, რადგან მისი თავიდან აცილება შესაძლებელია პირველადი ან მეორადი პრევენციული სტრატეგიებით ან მათი კომბინაციით [5, 6]. ძუძუს კიბოს ძირითადი მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორები მოიცავს სიმსუქნეს [7], ფიზიკურ უმოქმედობას [8], მაღალი ცილოვანი დიეტის მოხმარებას, როგორცაა წითელი ხორცი ეგზოგენური ჰორმონებით ან კანცეროგენული ქვეპროდუქტებით [9], ალკოჰოლის მიღება [10], თამბაქოს მოხმარება [11] და ორალური კონტრაცეპტივების გამოყენება [12]. ამ რისკ ფაქტორების უმეტესი ნაწილი შეიძლება ჩაერთოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო და კლინიკურ პრაქტიკაში.

მიუხედავად ამისა, მწირია კვლევები, რომლებიც აჩვენებს ძუძუს კიბოს შემთხვევებისა და სიკვდილიანობის ყველაზე განახლებულ მონაცემებს გლობალური მასშტაბით, რადგან უახლესი შეფასებები შეზღუდულია გარკვეული პოპულაციებისთვის [13, 14]. დაავადებათა გლობალური ტვირთის (Global Burden of Disease - GBD) კვლევებში [15-17] აღწერილია ძუძუს კიბოს გლობალური ტენდენციები და ნაკლოვანებები:

- 1) მონაცემები ეფუძნებოდა მოდელირებას და არა კიბოს მაღალი ხარისხის რეგისტრების გამოყენებას ტენდენციის შესაფასებლად;
- 2) ტენდენციის შედეგები არ იყო ხელმისაწვდომი ცალკეული ქვეყნებისთვის;
- 3) არ ჩატარდა ტენდენციის ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა ახალგაზრდა პოპულაციაში კოლორექტული კიბოს შემთხვევების უფრო მკვეთრი ზრდა [18], რომელიც იზიარებს საერთო რისკ ფაქტორებს ძუძუს კიბოსთან. ზოგიერთ ქვეყანაში, წინასწარი დასკვნები მიუთითებენ ძუძუს კიბოს შემთხვევების უფრო არსებით ზრდაზე ახალგაზრდა პირებში [13, 14, 19-21], მაგრამ უცნობია ეხება თუ არა ეს დაკვირვება გლობალურ მოსახლეობას.

ძუძუს კიბოს სიხშირე და სიკვდილიანობა.

2018 წელს დაფიქსირდა ძუძუს კიბოს 2,088,849 ახალი შემთხვევა და ამ დაავადებასთან ასოცირებული 626,679 სიკვდილი. გლობალური ინციდენტობის ASR 100000 მოსახლეზე იყო 46.3.

ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში (ASR = 94.2), დასავლეთ ევროპაში (ASR = 92.6), ჩრდილოეთ ევროპაში (ASR = 90.1) და ჩრდილოეთ ამერიკაში (ASR = 84.8) და ყველაზე დაბალი იყო მოხსენებული სამხრეთ-ცენტრალურ აზიაში (ASR = 25.9), შუა, აღმოსავლეთ და დასავლეთ აფრიკაში (ASR = 27.9-დან 37.3-მდე), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ASR = 38.1) და ცენტრალურ ამერიკაში (ASR = 38.3). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა დასავლეთის ქვეყნებში, მათ შორის ავსტრალიაში, ევროპასა და ამერიკაში. ძუძუს კიბოს სიხშირე უფრო მაღალი იყო ქვეყნებში, ძალიან მაღალი (ASR = 75.2) ან მაღალი სდი-ის მაჩვენებლებით (ASR = 40.1). შედარებით დაბალი ASR ფიქსირდებოდა, დაბალ (ASR = 32.8) ან საშუალო სდი-ის მქონე ქვეყნებში (ASR = 30.7).

გლობალური, ასაკით სტანდარტიზებული ძუძუს კიბოთი სიკვდილიანობის მაჩვენებელი (Age Standardized Mortality Rate – ASMR) 100 000 მოსახლეზე იყო 16.3. სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მელანეზიაში (ASMR = 25.5), პოლინეზიაში (ASMR = 21.6), ჩრდილოეთ აფრიკაში (ASMR = 18.4), კარიბის ზღვის აუზში (ASMR = 18.1) და დასავლეთ აფრიკაში (ASMR = 17.8). სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი სავარაუდო მაჩვენებელი დაფიქსირდა აღმოსავლეთ აზიაში (ASMR = 8.6), ცენტრალურ ამერიკაში (ASMR = 10.1), ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში (ASMR = 12.6), ჩრდილოეთ ამერიკაში (ASMR = 12.6) და სამხრეთ ამერიკაში (ASMR = 13.4). ძუძუს კიბოს სიკვდილიანობის ASMR

უფრო მაღალი იყო ქვეყნებში დაბალი (ASMR = 17.1) ან საშუალო სდი-ის მაჩვენებლებით (ASMR = 14.3). შედარებით დაბალი ASMR ფიქსირდებოდა ძალიან მაღალი (ASMR = 13.1) ან მაღალი სდი-ის მაჩვენებლების მქონე ქვეყნებში (ASMR = 10.3).

ბუბუს კიბოთი ავადობის ტენდენცია

როგორც დიაგრამიდან 4.66 ჩანს ჯგუფში 3 (ქირურგიული ჩარევა და/ან მედიკამენტური თერაპია + რადიოთერაპია) 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 94.5%, Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 95.0%, HER2-positive ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 86.7%, Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 69.6% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 92.0%.

ცხრილიდან 4.57 კი ჩანს, რომ გარდაცვალების საფრთხე Luminal A და Luminal B ტაქსონომიურ ქვეტიპებთან შედარებით სარწმუნოდ მაღალია HER2-positive და Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპების მქონე პაციენტებში.

კოქსის მოდელში ქირურგიული ჩარევის ჯგუფებში ცალკეული ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლების შედეგები მოყვანილია ცხრილში 4.58.

ცხრილი 4.58. საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები საკვლევი ჯგუფების ცალკეული ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით


ჯგუფი 1 vs. ჯგუფი 2	Cox Hazard Ratio (HR)	95% Confidence Interval		Chi2	P-value
Luminal A	0.1	0.07	0.27	10.75	0.001
Luminal B	1.2	0.70	2.04	0.49	0.485 (NS)
HER2 Positive	0.7	0.26	2.10	0.28	0.595 (NS)
Triple Negative	0.8	0.24	2.60	0.14	0.711 (NS)
Unknown	0.9	0.41	1.83	0.14	0.712 (NS)
ჯგუფი 1 vs. ჯგუფი 3	Cox Hazard Ratio (HR)	95% Confidence Interval		Chi2	P-value
Luminal A	0.3	0.08	1.13	2.44	0.118 (NS)
Luminal B	3.7	1.71	7.92	14.34	<0.001
HER2 Positive	1.1	0.28	4.53	0.02	0.864 (NS)
Triple Negative	0.8	0.18	3.54	0.08	0.775 (NS)
Unknown	1.3	0.45	3.78	0.23	0.628 (NS)
ჯგუფი 2 vs. ჯგუფი 3	Cox Hazard Ratio (HR)	95% Confidence Interval		Chi2	P-value
Luminal A	2.3	1.19	4.42	4.22	0.002
Luminal B	3.1	2.00	4.90	15.06	<0.001
HER2 Positive	1.4	0.51	3.99	0.38	0.537 (NS)
Triple Negative	1.1	0.34	3.26	0.01	0.929 (NS)
Unknown	1.5	0.64	3.56	0.70	0.403 (NS)

წყარო: კვლევის შედეგები

მკურნალობის სახეობისა და ტაქსონომიური ქვეტიპის გადარჩენაზე ზეგავლენის შესწავლამ აჩვენა, რომ მხოლოდ ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების გარდაცვალების საფრთხე სარწმუნოდ 3.7-ჯერ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან მედიკამენტური თერაპიისა და რადიოთერაპიის ჯგუფთან შედარებით Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში. ამავე Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში, მხოლოდ ქირურგიული ჩარევისა და მედიკამენტური თერაპიის ჯგუფში გარდაცვალების საფრთხე სარწმუნოდ 3.1-ჯერ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან მედიკამენტური თერაპიისა და რადიოთერაპიის ჯგუფთან შედარებით. იგივე ჯგუფებს შორის Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში, გარდაცვალების საფრთხეთა ფარდობა შეადგენს სარწმუნოდ 2.3-ს. Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში გარდაცვალების საფრთხეთა ფარდობა ასევე სარწმუნოა 1-ლ და მე-2

ჯგუფებს შორისაც. ქირურგიული ჩარევისა და მედიკამენტური თერაპიის ჯგუფში იგი 7.6-ჯერ მეტია მხოლოდ ქირურგიული ჩარევის ჯგუფთან შედარებით.

40 წლამდე ასაკის პაციენტებში 5-წლიანი გადარჩენის ანალიზით მიღებული კაპლან-მაიერის მრუდები ჯგუფებში მოყვანილია დიაგრამაზე 4.67.



დიაგრამა 4.67. საკვლევი ჯგუფების 5-წლიანი გადარჩენის კაპლან-მაიერის მრუდები 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პაციენტებში
წყარო: კვლევის შედეგები

როგორც დიაგრამიდან 4.67 ჩანს ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევის ჯგუფი) 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 95.2%, ჯგუფში 2 ამ მაჩვენებელმა შეადგინა 75.0%, ხოლო რადიოთერაპიის ჯგუფში კი - სულაც 90.0%. კოქსის საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებელმა ჯგუფი 2-სა და ჯგუფი 1-ს შორის შეადგინა $HR=5.83$ (95%CI – 1.71-19.86), $Chi^2=3.64$, $p=0.056$ (NS); ჯგუფი 3-სა და ჯგუფი 1-ს შორის შეადგინა $HR=2.11$ (95%CI – 0.29-15.43), $Chi^2=0.43$, $p=0.509$ (NS); ჯგუფი 2-სა და ჯგუფი 3-ს შორის კი შეადგინა $HR=2.93$ (95%CI – 0.98-8.71), $Chi^2=2.93$, $p=0.087$ (NS). მაშასადამე, 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების მიხედვით, გარდაცვალების საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები ჯგუფებს შორის ვერ გამოდგა სტატისტიკურად სარწმუნო.


4.9. ძუძუს კიბოს შორეული რეციდივების ტაქსონომიური თავისებურებების კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური შეფასება

შესწავლილ იქნა ძუძუს კიბოს შორეული რეციდივების შანსები. ღვიძლში შორეული რეციდივის შანსი პროცენტულად ყველაზე მაღალია (თუმცა არასარწმუნოდ) HER2-positive და Luminal-B + HER2-positive ქვეტიპების შემთხვევაში (ცხრილი 4.59 და დიაგრამა 4.68).

ცხრილი 4.59. ღვიძლში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით

#	ტაქსონომიური ქვეტიპი	სულ შორეული	რეციდივი ღვიძლში		
			n=	% შორეულიდან	% სრულიდან
1	Luminal A	89	19	21.3%	2.6%
2	Luminal-B	170	45	26.5%	5.4%
	Luminal-B + HER2-negative	134	33	24.6%	4.9%
	Luminal-B + HER2-positive	36	12	33.3%	7.6%
3	HER2-positive	27	9	33.3%	8.0%
4	Triple negative	27	6	22.2%	4.4%
5	უცნობი	35	8	22.9%	4.2%

წყარო: კვლევის შედეგები




დიაგრამა 4.68. ღვიძლში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით. წყარო: კვლევის შედეგები

ძვლებში შორეული რეციდივის შანსი პროცენტულად სარწმუნოდ ყველაზე მაღალია Luminal-B + HER2- negative და Luminal-B + HER2-positive ქვეტიპების შემთხვევაში ($p < 0.05$; ცხრილი 4.60 და დიაგრამა 4.69).

ცხრილი 4.60. ძვლებში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით

#	ტაქსონომიური ქვეტიპი	სულ შორეული	რეციდივი ძვლებში		
			n=	% შორეულიდან	% სრულიდან
1	Luminal A	89	64	71.9%	9.0%
2	Luminal-B	170	118	69.4%	14.2%
	Luminal-B + HER2-negative	134	95	70.9%	14.1%
	Luminal-B + HER2-positive	36	23	63.8%	14.6%
3	HER2-positive	27	11	40.7%	9.8%
4	Triple negative	27	12	44.4%	8.8%
5	უცნობი	35	19	54.3%	9.9%

წყარო: კვლევის შედეგები



დიაგრამა 4.69. ძვლებში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით. წყარო: კვლევის შედეგები

Luminal A ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი 3.7-ჯერ სარწმუნოდ აღემატება HER2-positive ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=3.7 (95%CI 1.52-9.12, p=0.004).

Luminal A ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი 3.2-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Triple negative ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=3.2 (95%CI 1.32-7.78, p=0.010).

Luminal B ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი 3.3-ჯერ სარწმუნოდ აღემატება HER2-positive ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=3.3 (95%CI 1.43-7.60, p=0.005).

Luminal B ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი 2.8-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Triple negative ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=2.8 (95%CI 1.24-6.48, p=0.013).

Luminal B + HER2-negative ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი 3.5-ჯერ სარწმუნოდ აღემატება HER2-positive ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=3.5 (95%CI 1.51-8.32, p=0.004).


Luminal B + HER2-negative ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი 3.0-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Triple negative ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=3.0 (95%CI 1.31-7.09, p=0.010).

ფილტვებში შორეული რეციდივის შანსი პროცენტულად სარწმუნოდ ყველაზე მაღალია Luminal-B + HER2-positive, HER2-positive და Triple negative ქვეტიპების შემთხვევაში (p<0.05; ცხრილი 4.61 და დიაგრამა 4.70).

ცხრილი 4.61. ფილტვებში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით

#	ტაქსონომიური ქვეტიპი	სულ შორეული	რეციდივი ფილტვებში		
			n=	% შორეულიდან	% სრულიდან
1	Luminal A	89	23	25.8%	3.2%
2	Luminal-B	170	55	32.4%	6.6%
	Luminal-B + HER2-negative	134	41	30.6%	6.1%
	Luminal-B + HER2-positive	36	14	38.9%	8.9%
3	HER2-positive	27	9	33.3%	8.0%
4	Triple negative	27	11	40.7%	8.0%
5	უცნობი	35	9	25.7%	4.7%

წყარო: კვლევის შედეგები




დიაგრამა 4.70. ფილტვებში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით. წყარო: კვლევის შედეგები

თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი პროცენტულად სარწმუნოდ ყველაზე მაღალია Triple negative, Luminal-B + HER2-positive და HER2-positive ქვეტიპების შემთხვევაში (p<0.05; ცხრილი 4.62 და დიაგრამა 4.71).

ცხრილი 4.62. თავის ტვინში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით

#	ტაქსონომიური ქვეტიპი	სულ შორეული	რეციდივი თავის ტვინში		
			n=	% შორეულიდან	% სრულიდან
1	Luminal A	89	1	1.1%	0.1%
2	Luminal-B	170	10	5.9%	1.2%
	Luminal-B + HER2-negative	134	5	3.7%	0.9%
	Luminal-B + HER2-positive	36	5	13.9%	3.2%
3	HER2-positive	27	3	11.1%	2.7%
4	Triple negative	27	6	22.2%	4.4%
5	უცნობი	35	0	0.0%	0.0%

წყარო: კვლევის შედეგები



დიაგრამა 4.71. თავის ტვინში შორეული რეციდივის შემთხვევათა განაწილება ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით. წყარო: კვლევის შედეგები

Triple negative ქვეტიპის დროს თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი 25.1-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal A ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=25.1 (95%CI 2.87-220.19, p=0.004).

Triple negative ქვეტიპის დროს თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი 4.9-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal B ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=4.9 (95%CI 1.60-14.72, p=0.005).

Triple negative ქვეტიპის დროს თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი 7.4-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal B + HER2-negative - ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=7.4 (95%CI 2.06-26.34, p=0.002)

HER2-positive ქვეტიპის დროს თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი 11.0-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal A ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=11.0 (95%CI 1.09-110.57, p=0.042).

Luminal-B + HER2-positive ქვეტიპის დროს თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი 12.2-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal A ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=12.2 (95%CI 1.38-108.32, p=0.025).

4.10. რეზიუმე: ძუძუს კიბოს ტაქსონომიური თავისებურებების კლინიკური ეპიდემიოლოგიური შეფასება

კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, 2012-2022 წლებში, ძუძუს კიბოთი დაავადებული 1,985 პაციენტის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ჩატარდა რეტროსპექტული ეპიდემიოლოგიური კვლევა, კიბოს ტაქსონომიური სტრუქტურის (ქვეტიპები: Luminal A, Luminal-B + HER2-negative, Luminal-B + HER2-positive, HER2-positive, Triple negative) თავისებურებების დასადგენად.

ძუძუს კიბოს შემთხვევათა 1/3-ზე მეტი შეადგინა Luminal A ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (36.0%), 1/3 -Luminal-B + HER2-negative ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (33.9%), და 1/3-ზე ნაკლები სხვა ტაქსონომიურმა ქვეტიპებმა: Luminal-B + HER2-positive (7.9%), HER2-positive (5.6%), Triple negative (6.9%) და უცნობმა ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (9.7%).

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

2012-2022 წლებში, კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური მონაცემებით, ძუძუს კიბოთი დაავადებულ 1,985 პაციენტში, სიმსივნის Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა გურიის რეგიონში.

სიმსივნის Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

სიმსივნის Luminal-B + HER2-negative ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, კახეთის რეგიონებსა და თბილისში.

სიმსივნის Luminal-B + HER2- positive ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებსა და თბილისში.

სიმსივნის HER2- positive ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა აფხაზეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

სიმსივნის Triple negative ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

სიმსივნის უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში.

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. გადარჩენის საშუალო დონესთან (80.8%) შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა Luminal B ქვეტიპისათვის (84.7%), ხოლო ოდნავ დაბალი - HER2 Positive ქვეტიპისათვის (79.5%). 5 წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (77.6%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

5-წლიანი გადარჩენის შანსები უცნობ ტაქსონომიურ ქვეტიპთან შედარებით 3.1-ჯერ მაღალია Luminal A და 1.5-ჯერ მაღალი- Luminal B ქვეტიპების შემთხვევებში.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

HER2 Positive და Triple Negative ტაქსონომიურ ქვეტიპებთან შედარებით 5-წლიანი გადარჩენის შანსები მაღალია Luminal A ტაქსონომიურ ქვეტიპის შემთხვევაში, შესაბამისად, 2.9-ჯერ და 2.6-ჯერ ($p<0.001$).

Luminal B ქვეტიპთან შედარებით Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში 2-ჯერ მაღალია 5-წლიანი გადარჩენის შანსები და პირიქით, Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში, Luminal A ქვეტიპთან შედარებით 5-წლიან პერიოდში 2-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p<0.001$).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, 3-წლიანი გადარჩენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (95.4%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. გადარჩენის საშუალო დონესთან (87.6%) შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა Luminal B ქვეტიპისათვის (90.7%), ხოლო ოდნავ დაბალი- Triple Negative (86.9%) და HER2 Positive ქვეტიპებისათვის (83.9%). 3-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (83.3%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

უცნობ ტაქსონომიურ ქვეტიპთან შედარებით 3-წლიანი გადარჩენის შანსები 3.9-ჯერ მაღალია Luminal A და 1.9-ჯერ მაღალი - Luminal B ქვეტიპების შემთხვევებში.

HER2 Positive და Triple Negative ტაქსონომიურ ქვეტიპებთან შედარებით 3-წლიანი გადარჩენის შანსები მაღალია Luminal A ტაქსონომიურ ქვეტიპის შემთხვევაში, შესაბამისად, 3.8-ჯერ და 3.1-ჯერ ($p<0.001$).

Luminal B ქვეტიპთან შედარებით Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში 2.1-ჯერ მაღალია 3-წლიანი გადარჩენის შანსები და პირიქით, Luminal A ქვეტიპთან შედარებით Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში 3-წლიან პერიოდში 2.1-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p<0.001$).

1-ლი კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 96.7%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (100.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (84.0%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

თუმცა, ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით 1-ლი კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 5-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკებისა და გადარჩენის შანსების (Cox Hazard Ratio -HR) შედარებისას სტატისტიკური განსხვავება არ გამოვლინდა ($p>0.05$).

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

დასკვნა: ძუძუს კიბოს 1-ლი კლინიკური სტადიის დროს, ტაქსონომიური ქვეტიპების მიუხედავად მიიღწევა 5-წლიანი გადარჩენის მაღალი დონე (96.7%).

1-ლი კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 98.1%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (100.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის და Triple Negative ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (92.0%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

თუმცა, ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით 1-ლი კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 3-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკებისა და გადარჩენის შანსების (Cox Hazard Ratio -HR) შედარებისას სტატისტიკური განსხვავება არ გამოვლინდა ($p>0.05$, ცხრილი 4.7).

დასკვნა: ძუძუს კიბოს 1-ლი კლინიკური სტადიის დროს, ტაქსონომიური ქვეტიპების მიუხედავად მიიღწევა 3-წლიანი გადარჩენის მაღალი დონე (98.1%).

მე-2 კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 92.2%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (94.3%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5 წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (88.2%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

უცნობ ქვეტიპთან შედარებით Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში 5-წლიანი გადარჩენის შანსები 2.2-ჯერ მაღალია და პირიქით, Luminal A ქვეტიპთან შედარებით უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 5-წლიან პერიოდში 2.2-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.042$).

მე-2 კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 95.5%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (97.8%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (90.6%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

უცნობ ქვეტიპთან შედარებით Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში 3-წლიანი გადარჩენის შანსები 4.4-ჯერ მაღალია და პირიქით, Luminal A ქვეტიპთან შედარებით უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 3-წლიან პერიოდში 4.4-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.002$).

HER2 Positive ქვეტიპთან შედარებით Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში 3.8-ჯერ მაღალია 3-წლიანი გადარჩენის შანსები და პირიქით, Luminal A ქვეტიპთან შედარებით HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 3-წლიან პერიოდში 3.8-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.036$).

მე-3 კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 75.3%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (83.2%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა Triple Negative (60.5%) და უცნობი (67.6%) ტაქსონომიური ქვეტიპების დროს.

5-წლიანი გადარჩენის შანსები Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში Triple Negative ქვეტიპთან შედარებით 2.9-ჯერ, უცნობ ქვეტიპთან შედარებით 2.3-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპთან შედარებით 2.0-ჯერ და Luminal B ქვეტიპთან შედარებით 1.6-ჯერ მაღალია.

მე-3 კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 84.4%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (90.6%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა Triple Negative (72.1%) ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

3-წლიანი გადარჩენის შანსები Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში Triple Negative ქვეტიპთან შედარებით 3.6-ჯერ, უცნობ ქვეტიპთან შედარებით 2.7-ჯერ და HER2 Positive ქვეტიპთან შედარებით 2.9-ჯერ მაღალია.

მე-4 კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 57.1%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (98.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (25.0%) და Triple Negative (50.0%) ტაქსონომიური ქვეტიპების დროს.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

Luminal A ქვეტიპთან შედარებით მკურნალობიდან 5-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკი 93.7-ჯერ მაღალია უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში, 40.4-ჯერ - Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში, 31.4-ჯერ HER2 Positive ქვეტიპის დროს და 20.4-ჯერ Luminal B ქვეტიპის დროს.

მე-4 კლინიკური სტადიის ძუძუს კიბოს მქონე პაციენტთა პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 64.0%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (98.3%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (25.0%) და Triple Negative (50.0%) ტაქსონომიური ქვეტიპების დროს.

Luminal A ქვეტიპთან შედარებით მკურნალობიდან 3-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკი 104.9-ჯერ მაღალია უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში, 45.9-ჯერ- Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში, 35.9-ჯერ HER2 Positive ქვეტიპის დროს და 15.2-ჯერ Luminal B ქვეტიპის დროს.

ძუძუს კიბოს შემთხვევათა ¼-მდე (24.7%) ქეისში სიმსივნის დიფერენცირების ხარისხი შეესაბამებოდა საშუალოს (G2), ხოლო ¾-მდე (74.7%) ქეისში იყო დაბალ დიფერენცირებული (G3).

ძუძუს კიბოს საშუალო ხარისხით დიფერენცირებისას (G2) პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 75.8%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5 წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (76.3%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში, Luminal A ქვეტიპთან შედარებით 5-წლიან პერიოდში 3.3-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.001$).

ძუძუს კიბოს საშუალო ხარისხით დიფერენცირებისას (G2) პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 81.0%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, მაღალი მაჩვენებელი (95.5%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს.

100%-იანი 36 თვიანი გადარჩენა დაფიქსირდა HER2-positive და 34 თვიანი - Triple negative ტაქსონომიური ქვეტიპის დროს. 34-36 თვეებში Triple negative ტაქსონომიური ქვეტიპის დროს გადარჩენის მაჩვენებელმა განიცადა 12.5%-იანი ვარდნა და შეადგინა 87.5%.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

უცნობ ქვეტიპთან შედარებით Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში 3-წლიანი გადარჩენის შანსები 3.8-ჯერ მაღალია და პირიქით, Luminal A ქვეტიპთან შედარებით უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 3-წლიან პერიოდში 3.8-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.003$).

ძუძუს კიბოს დაბალი დიფერენცირებისას (G3) პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 82.3%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (75.8%), Triple Negative (75.8%) და HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (76.6%) დროს.

Luminal A ქვეტიპთან შედარებით 5-წლიან პერიოდში უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 2.5-ჯერ, Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში 2.5-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 2.4-ჯერ, Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში 1.7-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.001$).

ძუძუს კიბოს დაბალი დიფერენცირებისას (G3) პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 87.5%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.6%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (81.0%), Triple Negative (82.0%) და HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (80.4%) დროს.

Luminal A ქვეტიპთან შედარებით 3-წლიან პერიოდში უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 2.8-ჯერ, Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში 2.7-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 2.9-ჯერ, Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში 1.6-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.001$).

Luminal B ქვეტიპთან შედარებით 3-წლიან პერიოდში უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 1.7-ჯერ, Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში 1.6-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 1.8-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.001$) და Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში 1.8-ჯერ 1.6-ჯერ მაღალია გადარჩენის შანსები.

ძუძუს ინვაზიური სადინროვანი კარცინომის დროს პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 80.8%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (87.8%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (73.2%), Triple Negative (75.0%) და, განსაკუთრებით, HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (68.9%) დროს.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

Luminal A ქვეტიპთან შედარებით 5-წლიან პერიოდში უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 2.5-ჯერ, Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში 2.3-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 3.0-ჯერ, Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში 1.9-ჯერ, მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.001$).

ძუძუს ინვაზიური სადინროვანი კარცინომის დროს პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 87.6%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (93.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (80.4%), Triple Negative (83.7%) და, განსაკუთრებით, HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (75.7%) დროს.

Luminal A ქვეტიპთან შედარებით 3-წლიან პერიოდში უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 3.1-ჯერ, Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში 2.5-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 3.0-ჯერ, Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში 3.9-ჯერ, მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.001$).

40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 90.5%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (95.6%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (87.5%) და, განსაკუთრებით, HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (71.4%) დროს.

HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში Luminal A ქვეტიპთან შედარებით 8.0-ჯერ და Triple Negative ქვეტიპთან შედარებით 5-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p=0.001$).

40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 97.2%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (97.8%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (87.5%) და, განსაკუთრებით, HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (71.4%) დროს.

40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში Luminal A ქვეტიპთან შედარებით 15.7-ჯერ, Luminal B ქვეტიპთან შედარებით 9.7-ჯერ და Triple Negative ქვეტიპთან შედარებით 10-ჯერ მაღალია 3-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკი ($p=0.002$).

40-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 81.0%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.1%)

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (76.8%) და HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (79.0%) დროს.

40-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში უცნობ ქვეტიპთან შედარებით 3.3-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპთან შედარებით 2.9-ჯერ, Luminal B ქვეტიპთან შედარებით 2.1-ჯერ და Triple Negative ქვეტიპთან შედარებით 2.6-ჯერ მაღალია 5 წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები ($p=0.001$).

40-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 87.5%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (95.4%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (82.6%) და HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (84.0%) დროს.

40-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში უცნობ ქვეტიპთან შედარებით 4.2-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპთან შედარებით 3.8-ჯერ, Luminal B ქვეტიპთან შედარებით 2.2-ჯერ და Triple Negative ქვეტიპთან შედარებით 3.2-ჯერ მაღალია 3- წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები ($p=0.001$).

70 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 74.5%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპზე (86.9%) მაღალი მაჩვენებელი (100.0%) დაფიქსირდა HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (82.6%) და HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (84.0%) დროს.

70 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფში Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში უცნობ ქვეტიპთან შედარებით 3.2-ჯერ და Luminal B ქვეტიპთან შედარებით 2.2-ჯერ მაღალია 5 წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები ($p<0.05$).

70 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა 3-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 85.0%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპზე (91.8%) მაღალი მაჩვენებელი (100.0%) დაფიქსირდა HER2 Positive ტაქსონომიური

ბუბუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

ქვეტიპის დროს. 3-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (78.6%) და Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპების (77.8%) დროს.

70 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფში 3-წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები არ იყო დამოკიდებული სიმსივნის ტაქსონომიურ ტიპზე ($p>0.05$).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 5-წლიანი გადარჩენა ყველაზე მაღალია 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (95.6%), ყველაზე დაბალი - 70 წლის და მეტი ასაკის პაციენტებში (86.9%).

Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში 5-წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები არ იყო დამოკიდებული ასაკზე ($p>0.05$).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 3-წლიანი გადარჩენა ყველაზე მაღალია 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (97.8%), ყველაზე დაბალი დაბალი - 70 წლის და მეტი ასაკის (91.8%).

Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში 3-წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები არ იყო დამოკიდებული ასაკზე ($p>0.05$).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 5-წლიანი გადარჩენა ყველაზე მაღალია 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (91.3%), ყველაზე დაბალი დაბალი - 70 წლის და მეტი ასაკის ჯგუფში (72.7%).

Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში 5 წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 40-69 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით 1.9-ჯერ და 70 წლის და მეტი ასაკის ჯგუფთან შედარებით 3.5-ჯერ მაღალია ($p>0.05$).

Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის დროს 70 და მეტი წლის ასაკის ჯგუფთან შედარებით 40-69 წლის ასაკის პაციენტებში 5-წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები 1.8-ჯერ მეტია ($p=0.02$).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 3-წლიანი გადარჩენა ყველაზე მაღალია 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (96.7%), ყველაზე დაბალი - 70 და მეტი წლის ასაკის ჯგუფში (86.4%).

Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში 3-წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 3.1-ჯერ მაღალია 40-69 წლის ასაკობრივ ჯგუფთან და 4.4-ჯერ მაღალია - 70 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით ($p < 0.05$).

HER2 + ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები და გარდაცვალების რისკები არ იყო დამოკიდებული ასაკზე ($p > 0.05$).

HER2 + ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები და გარდაცვალების რისკები არ იყო დამოკიდებული ასაკზე ($p > 0.05$).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 5-წლიანი გადარჩენა ყველაზე მაღალია 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (94.4%), ყველაზე დაბალი დაბალი - 70 წლის და მეტი ასაკის ჯგუფში (66.7%).

Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში 5 წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაღალია 3.8-ჯერ 40-69 წლის ასაკის და 7.0-ჯერ - 70 წლის და მეტი ასაკის ჯგუფთან შედარებით ($p < 0.05$).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 3-წლიანი გადარჩენა ყველაზე მაღალია 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (97.2%), ყველაზე დაბალი დაბალი - 70 წლის და მეტი ასაკის ჯგუფში (77.8%).

Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში 3 წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 5.2-ჯერ მაღალია 40-69 წლის ასაკობრივ ჯგუფთან და 8.8-ჯერ მაღალია 70 წლის და მეტი ასაკის ჯგუფთან შედარებით ($p < 0.05$).

უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები და გარდაცვალების რისკები არ იყო დამოკიდებული ასაკზე ($p > 0.05$).

უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტების 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები და გარდაცვალების რისკები არ იყო დამოკიდებული ასაკზე ($p > 0.05$).

ჩატარდა 3-წლიანი გადარჩენის ანალიზი ქირურგიული ჩარევის ტიპისა და ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით. ჯგუფში 1 გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომლებსაც ჩაუტარდათ ტოტალური ან რადიკალური მასტექტომია [ოპერაციის კოდები - HASC20 (მასტექტომია ლიმფადენექტომიის გარეშე) და HASC25 (მასტექტომია ლიმფადენექტომიით), $n=965$]. ჯგუფში

2 კი გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ნაწილობრივი ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევა სიმსივნური წარმონაქმნის ამოკვეთით [ოპერაციის კოდი - HASB00 (წარმონაქმნის ამოკვეთა ძუძუდან ლიმფადენეექტომიის გარეშე), n=443].

რადიკალური ოპერაციის (HASC) ჯგუფში 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 85.7%, ხოლო ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციის (HASB) შემდგომმა მაჩვენებელმა შეადგინა 95.5%.

კოქსის საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებელმა შეადგინა HR=3.3 (95%CI – 2.4-4.7), Chi2 = 28.5, p<0.001. ანუ 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების მიხედვით, ტოტალური ან რადიკალური მასტექტომიის შემდგომ 3-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკი 3.3-ჯერ მაღალია ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების ჯგუფთან შედარებით (p<0.001). და პირიქით, ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების ჯგუფში, რადიკალური მასტექტომიით პაციენტთა ჯგუფთან შედარებით შემდგომ 3-წლიან პერიოდში 3.3-ჯერ მაღალია გადარჩენის შანსები.

რადიკალური ოპერაციის (HASC) შემდგომ 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 92.8%, Luminal B ტაქსონომიური ტიპის მქონე პაციენტებში - 88.4%, HER2-positive ტაქსონომიური ტიპის მქონე პაციენტებში - 82.5%, Triple Negative ტაქსონომიური ტიპის მქონე პაციენტებში - 80.9% და უცნობი ტაქსონომიური ტიპის მქონე პაციენტებში - 83.6%. სხვა ქვეტიპებთან შედარებით გარდაცვალების საფრთხე სარწმუნოდ დაბალია მხოლოდ Luminal A ტაქსონომიური ტიპის მქონე პაციენტებში.

Luminal A ტიპთან შედარებით 3-წლიან პერიოდში უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 2.5-ჯერ, Triple Negative ქვეტიპის - 2.9-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპის - 2.6-ჯერ, Luminal B ტიპის შემთხვევაში 1.7-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი (p<0.05). და პირიქით, სხვა ტაქსონომიურ ტიპებთან შედარებით სიმსივნის Luminal A ტიპის შემთხვევაში, შესაბამისად, მაღალია გადარჩენის შანსები მკურნალობიდან 3-წლიან პერიოდში (p<0.05).

ოპერაციის (HASB) შემდგომ პაციენტთა 3 წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 99.0%, Luminal B ტიპის მქონე პაციენტებში - 94.6%, HER2-positive ტიპის მქონე პაციენტებში - 93.9%, Triple Negative ტიპის მქონე პაციენტებში - 91.2% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 77.8%.

გარდაცვალების საფრთხე სხვა ქვეტიპთან შედარებით სარწმუნოდ დაბალია მხოლოდ Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში; ასევე სარწმუნოდ დაბალი აღმოჩნდა გარდაცვალების საფრთხე Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში HER2-positive ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებთან შედარებით.

ქირურგიული ჩარევის სახეობისა და ტაქსონომიური ქვეტიპის გადარჩენაზე ზეგავლენის კუთხით გადარჩენის ანალიზი ადასტურებს, რომ ტოტალური და რადიკალური მასტექტომიით პაციენტების გარდაცვალების საფრთხე ორგანოშემანარჩუნებელი ჩარევის მქონე პაციენტებთან შედარებით სარწმუნოდ 7.1-ჯერ მეტია Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში. ტოტალური და რადიკალური მასტექტომიის შემდგომ 3 წლიან პერიოდში პაციენტების გარდაცვალების საფრთხე ორგანოშემანარჩუნებელი ჩარევის მქონე პაციენტებთან შედარებით ასევე სარწმუნოდ 2.2-ჯერ მეტია Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში. სხვა ქვეტიპების შემთხვევაში სარწმუნო განსხვავება ჯგუფებში გარდაცვალების საფრთხეთა შორის ვერ გამოვლინდა.

და პირიქით, ორგანოშემანარჩუნებელი ჩარევის მქონე პაციენტებს რადიკალური მასტექტომიით ნაოპერაციევ პაციენტებთან შედარებით სიმსივნის Luminal A ტაქსონომიური ტიპის შემთხვევაში 7.1-ჯერ და Luminal B ტიპის შემთხვევაში 2.2-ჯერ მეტი აქვთ 3-წლიან პერიოდში გადარჩენის შანსები ($p < 0.02$).

რადიკალური მასტექტომიის ჯგუფში (HASC) 3-გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 90.0%, ხოლო ორგანოშემანარჩუნებელი ჩარევის მქონე პაციენტების ჯგუფში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 96.8%. კოქსის საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებელმა შეადგინა $HR = 3.21$ (95%CI – 0.80-12.83), $Chi^2 = 2.3$, $p = 0.131$ (NS). მაშასადამე, 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების მიხედვით, გარდაცვალების საფრთხე ტოტალური ან რადიკალური მასტექტომიის ჯგუფში 2.3-ჯერ მეტია (თუმცა არასარწმუნოდ) ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების ჯგუფთან შედარებით.

ჩატარდა 5-წლიანი გადარჩენის ანალიზი ქირურგიული ჩარევის მასშტაბისა და ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით. ჯგუფში 1 გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ტოტალური ან რადიკალური მასტექტომია (ოპერაციის კოდები - HASC20 და HASC25, $n = 640$). ჯგუფში 2 - პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ნაწილობრივი

ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევა სიმსივნური წარმონაქმნის ამოკვეთით (ოპერაციის კოდი - HASB00, n=443).

რადიკალური მასტექტომიით ჯგუფში 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 75.9%, ხოლო ორგანო შემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევით ნაოპერაციევ პაციენტთა ჯგუფში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 87.8%, ანუ 11.9%-ით მეტი. კოქსის საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებელმა შეადგინა $HR=2.1$ (95%CI – 1.6-2.9), $Chi^2 = 16.1$, $p<0.001$. ანუ, 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების მიხედვით, გარდაცვალების საფრთხე ტოტალური ან რადიკალური მასტექტომიის ჯგუფში 2.1-ჯერ სარწმუნოდ მეტია ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების ჯგუფთან შედარებით. 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელთან შედარებით 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები ორივე ჯგუფში დაქვეითდა.

გარდაცვალების საფრთხე რადიკალური მასტექტომიის ჯგუფში ჯგუფში გაიზარდა 1.7-ჯერ (95%CI – 1.4-2.1), $Chi^2=24.6$, $p<0.001$; ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების ჯგუფში კი გაიზარდა 1.5-ჯერ (95%CI – 1.07-2.29), $Chi^2=14.35$, $p<0.001$.

რადიკალური მასტექტომიის (HASC) ჯგუფში 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ტიპის პაციენტებში შეადგინა 87.1%, Luminal B ტიპის - 78.0%, HER2-positive ტიპის - 76.2%, Triple Negative ტიპის მქონე პაციენტებში - 70.3% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 73.8%.

გარდაცვალების საფრთხე სხვა ქვეტიპთან შედარებით სარწმუნოდ დაბალია მხოლოდ Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში.

ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევით პაციენტთა (HASB) ჯგუფში 5-გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 96.6%, Luminal B ტიპის მქონე პაციენტებში - 85.0%, HER2-positive ტიპის მქონე პაციენტებში - 55.6%, Triple Negative ტიპის მქონე პაციენტებში - 76.5% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 78.6%.

გარდაცვალების საფრთხე სხვა ქვეტიპთან შედარებით სარწმუნოდ დაბალია მხოლოდ Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში; ასევე სარწმუნოდ დაბალი აღმოჩნდა გარდაცვალების საფრთხე Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში HER2-positive ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებთან შედარებით.

ქირურგიული ჩარევის მასშტაბებისა და ტაქსონომიური ქვეტიპის გადარჩენაზე ზეგავლენის კუთხით გადარჩენის ანალიზი ადასტურებს, რომ ტოტალური და რადიკალური მასტექტომიის პაციენტების გარდაცვალების საფრთხე სარწმუნოდ 4.0-ჯერ მეტია ორგანოშემანარჩუნებელი ჩარევის მქონე პაციენტებთან შედარებით Luminol A ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში. სხვა ქვეტიპების შემთხვევაში სარწმუნო განსხვავება ჯგუფებში გარდაცვალების საფრთხეთა შორის ვერ გამოვლინდა.

ჯგუფში 1 (HASC) 5-გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 81.4%, ხოლო ჯგუფში 2 ამ მაჩვენებელმა შეადგინა 89.6%. კოქსის საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებელმა შეადგინა $HR=1.91$ (95%CI – 0.64-5.70), $Chi^2 = 1.34$, $p=0.246$ (NS). მაშასადამე, 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების მიხედვით, გარდაცვალების საფრთხე ტოტალური ან რადიკალური მასტექტომიის ჯგუფში 1.9-ჯერ მეტია (თუმცა არასარწმუნოდ) ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების ჯგუფთან შედარებით.

ჩატარდა 3-წლიანი გადარჩენის ანალიზი მკურნალობის მეთოდისა და ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით. ჯგუფში 1 გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ მხოლოდ ქირურგიული ჩარევა - ტოტალური ან რადიკალური მასტექტომია ან ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევა (ოპერაციის კოდები - HASC20, HASC25, HASB00; $n=276$). ჯგუფში 2 გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია (ქიმიოთერაპია, ჰორმონთერაპია, იმუნოთერაპია; $n=1082$). ჯგუფში 3 კი გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და რადიოთერაპია მედიკამენტური თერაპიით ან მის გარეშე ($n=333$).

ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევა) 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 86.6%, ჯგუფში 2 ამ მაჩვენებელმა შეადგინა 87.7%, ხოლო ჯგუფში 3 – 92.8%.

კოქსის საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებელმა ჯგუფი 1-სა და ჯგუფი 2-ს შორის შეადგინა $HR=1.1$ (95%CI – 0.75-1.59), $Chi^2=0.24$, $p=0.619$; ჯგუფი 1-სა და ჯგუფი 3-ს შორის შეადგინა $HR=1.9$ (95%CI – 1.2-3.2), $Chi^2=6.50$, $p=0.011$; ჯგუფი 2-სა და ჯგუფი 3-ს შორის შეადგინა $HR=1.8$ (95%CI – 1.2-2.5), $Chi^2=6.61$, $p=0.010$.

მაშასადამე, 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების მიხედვით, გარდაცვალების საფრთხე მხოლოდ ქირურგიული ჩარევის ჯგუფში 1.9-ჯერ სარწმუნოდ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან მედიკამენტური თერაპიის და რადიოთერაპიის მქონე პაციენტების ჯგუფთან

შედარებით; ქირურგიული ჩარევისა და მედიკამენტური თერაპიის მქონე პაციენტების ჯგუფში კი 1.8-ჯერ სარწმუნოდ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან მედიკამენტური თერაპიისა და რადიოთერაპიის მქონე პაციენტების ჯგუფთან შედარებით;

ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევა) 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 96.6%, Luminal B ტიპის მქონე პაციენტებში - 78.6%, HER2-positive ტიპის მქონე პაციენტებში - 71.4%, Triple Negative ტიპის მქონე პაციენტებში - 84.2% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 80.5%.

გარდაცვალების საფრთხე სხვა ქვეტიპთან შედარებით სარწმუნოდ დაბალია მხოლოდ Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში.

ჯგუფში 2 (ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია) 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 94.6%, Luminal B ტიპის მქონე პაციენტებში - 85.3%, HER2-positive ტიპის მქონე პაციენტებში - 78.8%, Triple Negative ტიპის მქონე პაციენტებში - 87.5% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 79.2%.

გარდაცვალების საფრთხე სხვა ქვეტიპთან შედარებით სარწმუნოდ დაბალია მხოლოდ Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში.

ჯგუფში 3 (ქირურგიული ჩარევა და/ან მედიკამენტური თერაპია + რადიოთერაპია) 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 94.5%, Luminal B ტიპის მქონე პაციენტებში - 95.0%, HER2-positive ტიპის მქონე პაციენტებში - 86.7%, Triple Negative ტიპის მქონე პაციენტებში - 69.6% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 92.0%.

გარდაცვალების საფრთხე სხვა ქვეტიპთან შედარებით სარწმუნოდ მაღალია მხოლოდ Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში. სიმსივნის Triple Negative ტაქსონომიურ ქვეტიპთან შედარებით, Luminal A და Luminal B ტიპების მქონე პაციენტებში 7.2- 7.3-ჯერ მაღალია 3-წლიანი გადარჩენის შანსები (<0.001).

მკურნალობის სახეობისა და ტაქსონომიური ქვეტიპის გადარჩენაზე ზეგავლენის შესწავლამ აჩვენა, რომ მხოლოდ ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების გარდაცვალების საფრთხე სარწმუნოდ 4.7-ჯერ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან მედიკამენტური თერაპიისა და რადიოთერაპიის ჯგუფთან შედარებით Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში.

ამავე Luminol B ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში, მხოლოდ ქირურგიული ჩარევისა და მედიკამენტური თერაპიის ჯგუფში გარდაცვალების საფრთხე სარწმუნოდ 2.9-ჯერ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან მედიკამენტური თერაპიისა და რადიოთერაპიის ჯგუფთან შედარებით. სხვა ქვეტიპების შემთხვევაში სარწმუნო განსხვავება ჯგუფებში გარდაცვალების საფრთხეთა შორის ვერ გამოვლინდა.

ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევის ჯგუფი) 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 95.8%, ჯგუფში 2 ამ მაჩვენებელმა შეადგინა 90.2%, ხოლო რადიოთერაპიის ჯგუფში კი - სულაც 100%.

ჩატარდა 5-წლიანი გადარჩენის ანალიზი მკურნალობის მეთოდებისა და ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით. ჯგუფში 1 გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ მხოლოდ ქირურგიული ჩარევა - ტოტალური ან რადიკალური მასტექტომია ან ორგანოშემანარჩუნებელი ქირურგიული ჩარევა (ოპერაციის კოდები - HASC20, HASC25, HASB00, n=174). ჯგუფში 2 გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტური თერაპია (ქიმიოთერაპია, ჰორმონთერაპია, იმუნოთერაპია, n=525). ჯგუფში 3 კი გაერთიანდნენ ის პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული ჩარევა და რადიოთერაპია ტაბლეტოთერაპიით ან მის გარეშე (n=215).

ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევა) 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 72.4%, ჯგუფში 2 ამ მაჩვენებელმა შეადგინა 70.1%, ხოლო ჯგუფში 3 – 77.2% კოქსის საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებელმა ჯგუფი 1-სა და ჯგუფი 2-ს შორის შეადგინა $HR=0.93$ (95%CI – 0.68-1.28), $Chi^2=0.18$, $p=0.668$; ჯგუფი 1-სა და ჯგუფი 3-ს შორის შეადგინა $HR=1.32$ (95%CI – 0.89-1.99), $Chi^2=1.92$, $p=0.166$; ჯგუფი 2-სა და ჯგუფი 3-ს შორის შეადგინა $HR=1.42$ (95%CI – 1.06-1.92), $Chi^2=4.64$, $p=0.031$. მაშასადამე, 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების მიხედვით, გარდაცვალების საფრთხე ქირურგიული ჩარევისა და მედიკამენტური თერაპიის ჯგუფში 1.42-ჯერ სარწმუნოდ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან მედიკამენტური თერაპიის და რადიოთერაპიის მქონე პაციენტების ჯგუფთან შედარებით.

ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევა) 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminol A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 97.1%, Luminol B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 62.7%, HER2-positive ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 63.6%, Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 70.0% და

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 72.7%. ცხრილი 4.55-დან ჩანს, რომ გარდაცვალების საფრთხე სხვა ქვეტიპთან შედარებით სარწმუნოდ დაბალია მხოლოდ Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში.

ჯგუფში 2 (ქირურგიული ჩარევა და ტაბლეტოთერაპია) 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 79.8%, Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 65.5%, HER2-positive ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 55.2%, Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 65.6% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 69.7%. გარდაცვალების საფრთხე სხვა ქვეტიპთან შედარებით სარწმუნოდ დაბალია მხოლოდ Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში.

ჯგუფში 3 (ქირურგიული ჩარევა და/ან ტაბლეტოთერაპია + რადიოთერაპია) 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში შეადგინა 94.5%, Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 95.0%, HER2-positive ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 86.7%, Triple Negative ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 69.6% და უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მქონე პაციენტებში - 92.0%.

მკურნალობის სახეობისა და ტაქსონომიური ქვეტიპის გადარჩენაზე ზეგავლენის შესწავლამ აჩვენა, რომ მხოლოდ ქირურგიული ჩარევის მქონე პაციენტების გარდაცვალების საფრთხე სარწმუნოდ 3.7-ჯერ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან ტაბლეტოთერაპიისა და რადიოთერაპიის ჯგუფთან შედარებით Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში. ამავე Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში, მხოლოდ ქირურგიული ჩარევისა და ტაბლეტოთერაპიის ჯგუფში გარდაცვალების საფრთხე სარწმუნოდ 3.1-ჯერ მეტია ქირურგიული ჩარევის და/ან ტაბლეტოთერაპიისა და რადიოთერაპიის ჯგუფთან შედარებით. იგივე ჯგუფებს შორის Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში, გარდაცვალების საფრთხეთა ფარდობა შეადგენს სარწმუნოდ 2.3-ს. Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის შემთხვევაში გარდაცვალების საფრთხეთა ფარდობა ასევე სარწმუნოა 1-ლ და მე-2 ჯგუფებს შორისაც. ქირურგიული ჩარევისა და ტაბლეტოთერაპიის ჯგუფში იგი 7.6-ჯერ მეტია მხოლოდ ქირურგიული ჩარევის ჯგუფთან შედარებით.

ჯგუფში 1 (მხოლოდ ქირურგიული ჩარევის ჯგუფი) 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 95.2%, ჯგუფში 2 ამ მაჩვენებელმა შეადგინა 75.0%, ხოლო რადიოთერაპიის ჯგუფში

კი - სულაც 90.0%. კოქსის საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებელმა ჯგუფი 2-სა და ჯგუფი 1-ს შორის შეადგინა $HR=5.83$ (95%CI – 1.71-19.86), $Chi^2=3.64$, $p=0.056$ (NS); ჯგუფი 3-სა და ჯგუფი 1-ს შორის შეადგინა $HR=2.11$ (95%CI – 0.29-15.43), $Chi^2=0.43$, $p=0.509$ (NS); ჯგუფი 2-სა და ჯგუფი 3-ს შორის კი შეადგინა $HR=2.93$ (95%CI – 0.98-8.71), $Chi^2=2.93$, $p=0.087$ (NS). მამასადამე, 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლების მიხედვით, გარდაცვალების საფრთხეთა ფარდობის მაჩვენებლები ჯგუფებს შორის ვერ გამოდგა სტატისტიკურად სარწმუნო.

შესწავლილ იქნა ძუძუს კიბოს შორეული რეციდივების შანსები. ღვიძლში შორეული რეციდივის შანსი პროცენტულად ყველაზე მაღალია (თუმცა არასარწმუნოდ) HER2-positive (8.0%) და Luminal-B + HER2-positive (7.6%)

ძვლებში შორეული რეციდივის შანსი პროცენტულად სარწმუნოდ ყველაზე მაღალია Luminal-B + HER2- negative (14.1%) და Luminal-B + HER2-positive (14.6%) ქვეტიპების შემთხვევაში. Luminal A ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი: 3.7-ჯერ სარწმუნოდ აღემატება HER2-positive ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - $OR=3.7$ (95%CI 1.52-9.12, $p=0.004$); 3.2-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Triple negative ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - $OR=3.2$ (95%CI 1.32-7.78, $p=0.010$).

Luminal B ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი: 3.3-ჯერ სარწმუნოდ აღემატება HER2-positive ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - $OR=3.3$ (95%CI 1.43-7.60, $p=0.005$); 2.8-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Triple negative ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - $OR=2.8$ (95%CI 1.24-6.48, $p=0.013$).

Luminal B + HER2-negative ქვეტიპის დროს ძვლებში შორეული რეციდივის შანსი: 3.5-ჯერ სარწმუნოდ აღემატება HER2-positive ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - $OR=3.5$ (95%CI 1.51-8.32, $p=0.004$); 3.0-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Triple negative ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - $OR=3.0$ (95%CI 1.31-7.09, $p=0.010$).

ფილტვებში შორეული რეციდივის შანსი პროცენტულად სარწმუნოდ ყველაზე მაღალია Luminal-B + HER2-positive, HER2-positive და Triple negative ქვეტიპების შემთხვევაში ($p<0.05$).

თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი პროცენტულად სარწმუნოდ ყველაზე მაღალია Triple negative (4.4%), Luminal-B + HER2-positive (3.2%) და HER2-positive (2.7%) ქვეტიპების შემთხვევაში ($p < 0.05$).

Triple negative ქვეტიპის დროს თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი: 25.1-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal A ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=25.1 (95%CI 2.87-220.19, $p=0.004$); 4.9-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal B ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=4.9 (95%CI 1.60-14.72, $p=0.005$); 7.4-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal B + HER2-negative - ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=7.4 (95%CI 2.06-26.34, $p=0.002$)

HER2-positive ქვეტიპის დროს თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი 11.0-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal A ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=11.0 (95%CI 1.09-110.57, $p=0.042$).

Luminal-B + HER2-positive ქვეტიპის დროს თავის ტვინში შორეული რეციდივის შანსი 12.2-ჯერ სარწმუნოდ აღემატება Luminal A ქვეტიპის დროს ამავე ლოკაციაში შორეული რეციდივის შანსს - OR=12.2 (95%CI 1.38-108.32, $p=0.025$).

თავი V. პედიატრიული ასაკის ჰეტეროგენული ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნე: იშვიათი კლინიკური შემთხვევა.

შესავალი და ლიტერატურის მიმოხილვა

სარძევე ჯირკვლის ფილოიდური სიმსივნეები მიეკთვნება იშვიათი დაავადებების რიცხვს და ძუძუს სიმსივნეების 0,5%-ს შეადგენს. ეს სიმსივნეები შედგება სტრომული და ეპითელიური ელემენტებისგან. კლასიფიცირებულია როგორც: კეთილთვისებიანი, მოსაზღვრე და ავთვისებიანი ქვეტიპები. კეთილთვისებიანი ვარიანტი ყველაზე გავრცელებულია და გავს ისეთ დაავადებას, როგორცაა ფიბროადენომა, მაგრამ ჩვეულებრივ უფრო ხშირად რეციდივირებს [105].

საქართველოში კიბოს ეროვნული რეგისტრიის მონაცემებზე დაყრდნობით 2015-22 წლებში სულ დაფიქსირდა ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნის 28 შემთხვევა, რაც ამავე წლებში გამოვლენილ ძუძუს კიბოსთან შედარებით 0,2%-ია. სხვადასხვა ქვეყნების შემთხვევების ანალიზითა და ლიტერატურული მონაცემებით, ამ დაავადების სიხშირე მერყეობს 0,5%-დან 2%-მდე.

ფილოიდური წარმონაქმნები კლინიკურად ძალიან ჰგავს სტანდარტულ ფიბროადენომებს. მათი ციტოლოგიური დიაგნოსტიკა და ბიოფსია ჩვეულებრივ არასანდოა [106].

ფილოიდური სიმსივნეები უფრო ხშირად გვხვდება ახალგაზრდა ქალებში, ძუძუს კლასიკურ ადენოკარცინომასთან შედარებით [105]. თუმცა, ის შეიძლება გამოვლენილი იყოს ასევე ყველა ასაკში. დაავადების პრეზენტაციის საშუალო ასაკი კი, 45 წელია [106].

ფილოიდები მიდრეკილია სწრაფად მიაღწიოს დიდ ზომებს მეტასტაზების გარეშე [107].

არამეტასტაზური ფილოიდური სიმსივნეების მკურნალობის ძირითადი მეთოდი არის ფართო ქირურგიული რეზექცია, ჯანსაღი რეზექციის კიდევებით.

ფილოიდური სიმსივნეების ქირურგიული მართვა ჯერ კიდევ საკამათოა, მაგრამ არსებობს უამრავი კვლევა, რომელიც ვარაუდობს, რომ ქირურგიული კიდე ≥ 1 სმ-ზე სრულიდ საკმარისია.

ჰისტომორფოლოგიურად შესწავლილი უარყოფითი რეზექციის კიდე, შესაძლოა იყოს სრულიად საკმარისი მიუხედავად მისი განივი ზომებისა.

ამრიგად, ქირურგიული მკურნალობისას 1 მმ სუფთა რეზექციის კიდეც, კი საკმარისია ადგილობრივი რეციდივის თავიდან ასაცილებლად [108,109].

ლამპექტომია ან ნაწილობრივი მასტექტომია არის მოწოდებული ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკა.

ფილოიდური სიმსივნის ადგილობრივი რეციდივირების მაჩვენებელი შეიძლება იყოს მაღალი. ხოლო ავთვისებიანი ფილოიდების 22%-მა შესაძლოა გამოიწვიოს ჰემატოგენური მეტასტაზები, უმეტესად ფილტვებში [105]. უიშვიათესია მეტასტაზირება ღვიძლიში, თავის ტვინში და ძვლებში [110].

ლიტერატურაში აღწერილია რიგი პრედიქტიული ფაქტორების, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მეტასტაზირებასა და ადგილობრივ რეციდივირებაზე. ისეთები როგორცაა: პოზიტიური ქირურგიული რეზექციის კიდეები, სტრომის გადაჭარბებული ზრდა, სტრომული ატიპია და გაზრდილი მიტოზური აქტივობა [105].

დამხმარე ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის გამოყენება ავთვისებიანი ფილოიდების დროს კი, საკამათოა [106]. რადიაციულმა თერაპიამ და ქიმიოთერაპიამ მნიშვნელოვნად არ გააუმჯობესა პაციენტების გრძელვადიანი გადარჩენა [111].

თუმცა ზოგადი გადარჩენის სარგებლის მყარი მტკიცებულების გარეშე, დამხმარე რადიაციულმა თერაპიამ გამოავლინა უფრო კარგი ადგილობრივი კონტროლის მაჩვენებელი, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ავთვისებიანი და მოსაზღვრე ფილოიდური სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობისას პოზიტიური რეზექციის კიდეების შემთხვევაში აქვთ ადგილობრივი რეციდივების მაღალი მაჩვენებელი.

კონსერვატული ქირურგიული მკურნალობის შემდეგაც 5 სმ-ზე მეტი ზომის ფილოიდების შემთხვევაში ასევე მაღალია ადგილობრივი რეციდივის რისკი. ამიტომ, ასეთი პაციენტებში განხილულ უნდა იქნას დამატებითი სხივური თერაპიის საკითხი [112,113].

ამრიგად, ავთვისებიან და მოსაზღვრე ფილოიდური სიმსივნეებს, დადებითი რეზექციის კიდეებისა და პირველადი სიმსივნის დიდი ზომის შემთხვევაში აქვთ ადგილობრივი რეციდივების მაღალი მაჩვენებელი. რის გამოც, ასეთი პაციენტებში უნდა განვიხილოთ მკურნალობა დამატებითი ადგილობრივი სხივური თერაპია თერაპიის გამოყენებით [113]. ვინაიდან, მოსაზღვრე და ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნეების მქონე პაციენტებისთვის, ადიუვანტურმა რადიაციულმა თერაპიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადგილობრივი

რეციდივების გარეშე გადარჩენის მაჩვენებელი, მაგრამ დამხმარე სხივურმა თერაპიამ ვერ გააუმჯობესა საერთო გადარჩენის მაჩვენებელი [111].

შეჯამებისთვის, ფილოიდური სიმსივნეების ირგვლივ, დღეს ბევრი საკამათო და შეზღუდული მონაცემებია. დაავადების იშვითობიდან გამომდინარე, არ არსებობს შეთანხმებული მკურნალობის გაიდლაინი. თუმცა ერთი რამ შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ძველი იდეები: „არაფერი რადიკალური ქირურგიის გარდა“ - არ არის საკმარისი. პრიორიტეტულია განხილულ იქნას თანამედროვე ონკოლოგიის ისეთი მიმართულებები, როგორცაა: სუფთა ქირურგიული კიდეები, დამხმარე ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია [114].

შემთხვევის აღწერა

13 წლის მდედრობითი სქესის პაციენტმა კლინიკას მომართა 2021 წლის აგვისტოს თვეში. ჩივილებით სწრაფად მზარდი სიმსივნური წარმონაქმნის არსებობაზე მარჯვენა ძუძუში. სარძევე ჯირკვლის კვლევით აღინიშნებოდა დიდი ზომის, მოძრავი სიმსივნე, რომელიც ნათესავეების გადმოცემით წარმოიშვა 1 თვის განმავლობაში. ჩატარებული ულტრასონოგრაფიული გამოკვლევით ნანახი იქნა დაახლოებით 10 სმ ზომის წარმონაქმნი მარჯვენა ძუძუს ქვედა ლატერალურ კვადრანტში. კლინიკური და ინსტრუმენტული მონაცემების საფუძველზე დაისვა წინასწარი კლინიკური დიაგნოზი: მარჯვენა ძუძუს იუვენილური ფიბროადენომა, რაც მეტწილად დამახასიათებელია ახალგაზრდა და პედიატრიული ასაკის გოგონებისთვის. წინასწარი დიაგნოზის საფუძველზე დაგეგმილ იქნა სასწრაფო, დაყოვნებული ქირურგიული მკურნალობა, მოცულობითი წარმონაქმნის ფართო ამოკვეთა.

მაკროსკოპული აღწერით: სიმსივნური წარმონაქმნი ზომით 14.0X11.0 სმ. მკვეთრი საზღვრებით, მოთეთრო-მონაცისფრო შეფერილობით, ალაგ ჰემორაგიისა და ნეკროზის მაკროსკოპული სურათით.

მიკროსკოპულად: ნანახი იქნა ბიფაზური ფიბროეპითელური სიმსივნე. ეპითელური კომპონენტი უპირატესად გამოვლენილ იქნა სიმსივნის პერიფერიაზე. ეპითელური უჯრედების ატიპია არ გამოვლენილა. აღსანიშნავია სიმსივნის მეზენქიმური ნაწილის ატიპია.

ჩატარდა სიმსივნის იმუნოჰისტოქიმიური კვლევა, რომელიც წარმოებულ იქნა შემდეგი ანტისხეულებით: AE1/AE3, ER, PR, p53, Vimentin, SMA, DESMIN, S100, CD34, CD68, CK5 and ki67. ყველაზე ყურადსაღები აღმოჩნდა DESMIN-ის ექსპრესია, რომელმაც შეადგინა 45%-ზე მეტი.

საბოლოო დიაგნოზი: ძუძუს ფილოიდური სიმსივნე, მეზენქიმური კომპონენტის რაბდოიდული სარკომის უბნების დიფერენცირებით (WHO-O code:9020/3).

პაციენტი გადამისამართებულ იქნა პედიატრიულ ონკოლოგთან, შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის შერჩევისა და დაკვირვების მიზნით. ონკოლოგის მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია მხოლოდ დაკვირვების შესახებ.

ოპერაციიდან 8 თვის შემდეგ პაციენტმა კვლავ მომართა კლინიკას ჩივილებით სიმსივნური წარმონაქმნის არსებობაზე ნაოპერაციებ ძუძუში. ულტრასონოგრაფიით ნანახი იქნა 5 სმ ზომის სიმსივნური კვანძი. ჩატარდა გულმკერდისა და მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია. დაავადების შორეული გავრცელების ნიშნები არ იქნა ნანახი. დაგეგმილ იქნა კვლავ ქირურგიული მკურნალობა. შეთავაზებულ იქნა მასტექტომიის წარმოება, რაზეც პაციენტის ახლობლებმა განაცხადეს უარი. ჩატარდა ოპერაცია: წარმონაქმნის ფართო ამოკვეთა ძუძუდან. ჰისტომორფოლოგიით: ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნის რეციდივი (WHO-O code:9020/3).

პაციენტს მიეცა რეკომენდაცია ადიუვანტური სხივური თერაპიით მკურნალობის გაგრძელების შესახებ.

ქირურგიული მკურნალობიდან 2 კვირის შემდეგ, სხივური თერაპიის დაგეგმარებისას წარმოებულ კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე მკერდის ძვლის ვენტრალურად, მარჯვნივ ნანახი იქნა 1.7X1.5 სმ ზომის სიმსივნური უბანი, რომელიც არ აღინიშნებოდა წინა კვლევაზე. წარმონაქმნი მიჩნეულ იქნა დაავადების გავრცელებად. რის გამოც გადაწყდა როგორც სარძევე ჯირკვლის, ასევე ამ უბნის დასხივება.

ადიუვანტური სხივური თერაპია ჩატარდა IMRT ტექნოლოგიით, ტოტალური დოზა 60 გრეი. თერაპიის დასრულებიდან მალევე პაციენტმა დატოვა ქვეყანა. ამ ეტაპზე, ბოლო კონტაქტით, დაავადების პროგრესირების ნიშნები არ აქვს.

განხილვა

ფილოიდური სიმსივნე მორფოლოგიურად ბიფაზური ფიბრო-ეპითელიური სიმსივნეა,

რომელშიც ხდება მეზენქიმური კომპონენტის გამრავლება და ეპითელური კომპონენტის თანაარსებობა.

ფილოიდური სიმსივნის დიფერენციაციის ხარისხის შეფასება ხდება სტრომული კომპონენტის მორფოლოგიური შეფასების საფუძველზე. ესენია: სტრომული უჯრედულობა, სტრომული უჯრედის ატიპია, სტრომული კომპონენტი, ჭარბი ზრდა და მიტოზური აქტივობა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიმსივნის ქირურგიული რეზექციის კიდეებს. უნდა აღინიშნოს, რომ ფილოიდური სიმსივნის ეპითელური ნაწილი კეთილთვისებიანია. ძირითადად სტრომული კომპონენტის სიმწიფის ხარისხის მიხედვით, ფილოიდური სიმსივნეები იყოფა სამ ჯგუფად: კეთილთვისებიანი, მოსაზღვრე და ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნე.

კეთილთვისებიანი ფილოიდები ჩვეულებრივ კარგად არის შემოსაზღვრული, ხოლო მოსაზღვრე ტიპის, ავთვისებიანი პოტენციალის მქონე ფილოიდურ სიმსივნეებს აქვთ ე.წ "მოზიდვით ზრდის უნარი".

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის სიმსივნეებს, მათ შორის კეთილთვისებიან ფორმებს, ახასიათებს ხშირი რეციდივირება [115].

ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნეების ადგილობრივი რეციდივის რისკი არის მნიშვნელოვნად მაღალი. ადგილობრივი რეციდივი შესაძლებელია განვითარდეს 23-30%-ში, ხოლო ვისცერულ ორგანოებში მეტასტაზები აღინიშნება 9%-ში [116].

პროგრესირების რისკი ყველაზე მაღალია პირველი 1 წლის განმავლობაში. თუმცა პაციენტის მეთვალყურეობა უნდა გაგრძელდეს მინიმუმ 10 წლის მანძილზე [117].

ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნის შემთხვევაში მორფოლოგიურად შესაძლებელია შეგვხვდეს ისეთი ავთვისებიანი ჰეტეროგენული ელემენტები, როგორცაა ლიპოსარკომა, ოსტეოსარკომა, რაბდომიოსარკომა და ქონდროსარკომა [118].

ლიტერატურის მიმოხილვით ვლინდება ჩვენს მიერ აღწერილის მსგავსი მხოლოდ სამი შემთხვევა (ფილოიდი ავთვისებიანი ჰეტეროგენული რაბდომიოსარკომით) [119].

ვინაიდან ჰეტეროგენული ავთვისებიანი ელემენტები იშვიათია, ლიტერატურაში ინფორმაცია სიმსივნის ქცევის შესაფასებლად ამ ელემენტების არსებობის შემთხვევაში მწირია. ასევე არასაკმარისია ინფორმაცია იმის შესახებ, იზრდება თუ არა სიმსივნის აგრესიულობა, როდესაც ჩვენ აღმოვაჩინეთ ჰეტეროგენულ ელემენტებს ავთვისებიანი ფილოიდურ სიმსივნეში.

ასეთი ელემენტების არსებობისას მკურნალობის საკითხიც არ არის სარწმუნო. გამოვიყენოთ თუ არა ქიმიოთერაპია ასეთ დროს? განსაკუთრებით თუ საქმე ეხება ბავშვებსა და მოზარდებს.

აუცილებელია მომავალი კვლევები, ისეთი საკითხების შესასწავლად, როგორცაა დაავადების სიხშირე ბავშვობაში და მისი კლინიკური მართვა.

ძუძუს სიმსივნეები მოზარდებში და მით უმეტეს ბავშვებში ძალზედ იშვიათია.

განსაკუთრებით, როდესაც საუბარია ავთვისებიან დაავადებაზე. ბავშვთა ავთვისებიანი ფილოიდური სიმსივნე, პრაქტიკულად არ გვხვდება შემთხვევების განხილვისას.

ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი შემთხვევა შესაძლოა დაემატოს იმ იშვიათი შემთხვევების რიცხვს, რომელთა ანალიზიც დაეხმარება მედიცინას კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური ასპექტების განხილვასა და დაავადების მართვაში.

დასკვნა

ბავშვთა ასაკში, ძუძუში არსებული სწრაფად მზარდი სიმსივნე მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და საჭიროებს სათანადო კლინიკური მართვას. უალტერნატივოა პირველ ეტაპზე ქირურგიული მკურნალობა. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ქირურგიული რეზექციის კიდეებზე. მორფოლოგიური დიაგნოზის მისაღებად საჭიროა ძალიან მაღალი კომპეტენციის მორფოლოგი და მორფოლოგიური ლაბორატორია.

ფილოიდური სიმსივნეების მკურნალობის მეთოდად რადიაციის საკითხი საკამათოდ რჩება.

ასევე აღსანიშნავია ქიმიოთერაპიული მკურნალობის აქტუალობა, განსაკუთრებით ჰეტეროგენული ავთვისებიანი ფილოიდების დროს.

მორეციდივე დაავადების მკურნალობის საკითხიც ფრიად კრიტიკულია და მოითხოვს მომავალი კვლევებით მიღებული შედეგების ღრმა ანალიზს.

თავი 6. რეზიუმე:

საქართველოში ძუძუს კიბოს ტვირთისა და ტაქსონომიური თავისებურებების ეპიდემიოლოგიური შეფასება

პრობლემის აქტუალობა:

ძუძუს კიბო წარმოადგენს გლობალურ პრობლემას მსოფლიოს მასშტაბით. გლობალური კიბოს (GLOBOCAN) 2020 წლის სტატისტიკური ანგარიშის მიხედვით მსოფლიოში რეგისტრირებულ იქნა ქალის ძუძუს კიბოს 2.3 მილიონი და ამ მიზეზით გარდაცვალების 685,000 შემთხვევა.

2015 წლიდან NCDC-ის ბაზაზე კიბოს პოპულაციური რეგისტრის შექმნამ შესაძლებელი გახადა ძუძუს კიბოთი ავადობის ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესწავლა და მონიტორინგი.

2015-2019 წლებში საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობის, პროგრესირების, გარდაცვალების, 3-წლიანი გადარჩენის, ასევე ქ. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ტვირთის მაჩვენებლები თავდაპირველად იქნა შესწავლილი სადოქტორო კვლევით თამთა გვაზავას (2021) მიერ.

კიბოს კონტროლის პოლიტიკის შემუშავების, ძუძუს კიბოს ადვოკატობის და ამ დაავადების გლობალური ტვირთის შემსუბუქების ხელშეწყობისთვის, დამატებით შესწავლას საჭიროებს: ძუძუს კიბოს ინციდენტობისა და გარდაცვალების სიხშირეები 3 წლით გაზრდილი პერიოდში (2015-2022); მკურნალობის შემდგომ კიბოს პროგრესირების, რეციდივებისა და მეტასტაზების განვითარების რისკების, 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლებით; საქართველოსა და თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ტვირთის სტანდარტიზაცია-დაზუსტება; ძუძუს კიბოს ტაქსონომიური თავისებურებების შეფასება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის მიზანი, ამოცანები და დაიგეგმა მისი დიზაინი.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ძუძუს კიბოს ტვირთისა და ტაქსონომიური თავისებურებების ეპიდემიოლოგიური შეფასება, პრევენციული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანები:

1. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე საქართველოში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ინციდენტობის შესწავლა (ASR, AAR, CR64, CR74, PIR, SRR, SIR, SMR) რეგიონებისა მიხედვით, ძუძუს კიბოს ეპიდემიოლოგიური რუკების მომზადება.
2. თბილისში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ინციდენტობის დინამიკა ბოლო 8 წელიწადში (2015-2018 / 2019-2022) და 30 წლიანი პერიოდის გასვლის შემდგომ (1988-1992 / 2018-2022)
3. თბილისში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების სიხშირე, ხვედრითი წონა ონკოლოგიური და ყველა მიზეზით გარდაცვალების სტრუქტურაში, დინამიკა ბოლო 8 წელიწადში (2015-2018 / 2019-2022) და 17 წლიანი პერიოდის გასვლის შემდგომ (2003-2004 / 2020-2022).
4. თბილისში 2015-2017 წლებში ძუძუს კიბოთი პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენა დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური (ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია), შერწყმული, კომბინირებული, კომპლექსური) მიხედვით:
5. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე საქართველოში, თბილისში, საქართველოს რეგიონებში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ტვირთის შეფასება (DALYs), სტანდარტიზაცია (ASR DALYs, AAR DALYs).
6. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე 2012-2022 წლებში ძუძუს კიბოთი დაავადებული 1985 პაციენტის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ტაქსონომიური ჯგუფების (Luminal-A, Luminal-B, HER2-positive, Triple negative) სტრუქტურის დადგენა.
7. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით 3 და 5-წლიანი გადარჩენის შესწავლა დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური: ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, შერწყმული, კომბინირებული) გათვალისწინებით.
8. მოსალოდნელი პროგრესირების (ადგილობრივი რეციდივებისა და შორეული მეტასტაზების განვითარების) რისკების პროგნოზირება ტაქსონომიური

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

ქვეტიპებისათვის (ლუმინალური-A ტიპი, ლუმინალური-B ტიპი, HER2/new-პოზიტიური, სამმაგად უარყოფითი (Triple negative)) დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური: ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, შერწყმული, კომბინირებული) გათვალისწინებით.

9. ძუძუს კიბოს მქონე პაციენტების ჯანმრთელობის ადვოკატობის მიზნით პრევენციული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის სამეცნიერო სიახლე:

1. სტანდარტიზებული მაჩვენებლებით (ASR, AAR, CR₆₄, CR₇₄, TASR, SRR, PIR, SIR, ASMR, TASMR, 95% CI) 100,000 ქალზე, პირველად იქნა დადგენილი 2015-2022 წლებში საქართველოს რეგიონების მიხედვით ძუძუს კიბოს ინციდენტობის სტრუქტურა, მისი ასაკობრივი სპეციფიკა და დინამიკა.
2. პირველად იქნა დადგენილი როგორც საქართველოში, ისე თბილისში გამოვლენილი ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები კაპლან-მეიერის მრუდებით, გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox HR) ძუძუს კიბოს მკურნალობიდან 3- და 5-წლიან პერიოდებში, ასაკობრივი ჯგუფების, კლინიკური სტადიების, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური (ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია), შერწყმული, კომბინირებული, კომპლექსური) და სიმსივნის ტაქსონომიური ტიპების მიხედვით.
3. პირველად იქნა შედარებული საქართველოს რეგიონული და თბილისის კლინიკების გასაშუალოებული მაჩვენებლები და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის (კოი) ძუძუს კიბოს დიაგნოზით პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები კაპლან-მეიერის მრუდებით, გარდაცვალების რისკები და გადარჩენის შანსები (Cox HR) ძუძუს კიბოს მკურნალობიდან 3- და 5-წლიან პერიოდებში.
4. კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე საქართველოში, თბილისში, საქართველოს რეგიონებში 2015-2022 წლებში პირველად შეფასდა ძუძუს კიბოს ტვირთი (DALYs), პირველად განხორციელდა ტვირთის მაჩვენებლების სტანდარტიზაცია 100,00 ქალზე (ASR DALYs, AAR DALYs), პირველად დადგინდა 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის სპეციფიური ტვირთის (DALYs) მაჩვენებლები.

5. კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე 2012-2022 წლებში ძუძუს კიბოთი დაავადებული 1985 პაციენტის მონაცემთა ბაზის საფუძველზე პირველად იქნა დადგენილი საქართველოში, თბილისში, რეგიონებში ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ჯგუფების სტრუქტურა (Luminal-A, Luminal-B, HER2-positive, Triple negative) და პირველად იქნა შემუშავებული ტაქსონომიური ეპიდემიოლოგიური რუკები.
6. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების მიხედვით პირველად იქნა დადგენილი 3 და 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური: ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, შერწყმული, კომბინირებული) გათვალისწინებით.
7. პირველად იქნა დადგენილი დაავადების მოსალოდნელი პროგრესირების (ადგილობრივი რეციდივებისა და შორეული მეტასტაზების განვითარების) რისკები ტაქსონომიური ქვეტიპებისათვის (ლუმინალური-A ტიპი, ლუმინალური-B ტიპი, HER2/new-პოზიტიური, სამმაგად უარყოფითი (Triple negative)) დაავადების კლინიკური სტადიის, ჰისტოტიპის, დიფერენცირების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის მეთოდების (ოპერაციული, სხივური, მედიკამენტური: ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, ჰორმონოთერაპია, შერწყმული, კომბინირებული) გათვალისწინებით.
8. პირველად იქნა დადგენილი ძუძუს კიბოს ადგილობრივი რეციდივებისა და შორეული მეტასტაზების განვითარების რისკები ძირითად შორეულ ლოკაციებში: ღვიძლში, ფილტვებში, ძვლებში, თავის ტვინში, სიმსივნის ტაქსონომიური ტიპების მიხედვით.
9. შეიქმნა თეორიული საფუძვლები ძუძუს კიბოს მქონე პაციენტების ჯანმრთელობის ადვოკატობის მიზნით პრევენციული რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება:

1. ნაშრომში თავმოყრილია კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები საქართველოს რეგიონებში მცხროვრებ ქალებში ძუძუს კიბოს გავრცელების სიკვდილიანობის, ტვირთის და ტაქსონომიური თავისებურებების შესახებ.
2. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური მახასიათებლები რეკომენდებულია შეტანილი იქნას კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემთა ბაზაში, ეს ხელს შეუწყობს:
 - a. მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებას,

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

- b. 5-წლიანი გადარჩენის, დაავადების პროგრესირების რისკების და გადარჩენის შანსების პროგნოზირებას,
 - c. საქართველოს ერთიანი ტაქსონომიური ეპიდემიოლოგიური რუკების მომზადებას,
 - d. ძუძუს კიბოს კონტროლის პრევენციული მუნიციპალური, რეგიონული და ქვეყნის მასშტაბით პროგრამების შექმნა-გაუმჯობესებას.
3. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების იდენტიფიცირებისთვის, კვლევის იმუნოჰისტოქიმიური მეთოდის პროგრამულად განხორციელება და მისი მენეჯმენტის გაიდლაინში შეტანა გაზრდის მკურნალობის ეფექტიანობას და პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის შანსებს.
 4. რეკომენდებულია ძუძუს კიბოს ასაკობრივი, ტაქსონომიური და სხვა ეპიდემიოლოგიური რუკების გამოყენება, კიბოს კონტროლის პრევენციული, მათ შორის სკრინინგის რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების დაგეგმარებისას, რაც ხელს შეუწყობს ძუძუს კიბოს კონტროლის ადვოკატობას.
 5. რეკომენდებულია ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტთა ჯანმრთელობის ადვოკატობის, დაავადების ადრეული გამოვლინების და გარდაცვალების ტვირთის შემცირების მიზნით ძუძუს კიბოს ტვირთის მონიტორინგი და აღნიშნული მიმართულებით კვლევის გაგრძელება.
 6. რეკომენდებულია ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ტიპების დროს ონკოგენების ექსპრესიის მოლეკულური ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესწავლა.
 7. კვლევის ფარგლებში დადგენილი რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელება განაპირობებს ძუძუს კიბოს სწორ მართვას და სამომავლოდ შექმნის მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძველს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის.

დისერტაციის დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები:

1. აუცილებელია ძუძუს კიბოს ტაქსონომიური მახასიათებლების შეტანა კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემთა ბაზაში, ეს ხელს შეუწყობს მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებას, 5-წლიანი გადარჩენის, დაავადების პროგრესირების რისკების და გადარჩენის შანსების პროგნოზირებას, საქართველოს ერთიანი ტაქსონომიური ეპიდემიოლოგიური რუკების მომზადებას,

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

ძუძუს კიბოს კონტროლის პრევენციული მუნიციპალური, რეგიონული და ქვეყნის მასშტაბით პროგრამების შექმნა-გაუმჯობესებას.

2. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპების იდენტიფიცირებისთვის, კვლევის იმუნოჰისტოქიმიური მეთოდი უნდა ხორციელდებოდეს პროგრამულად და აუცილებლად შესატანია მენეჯმენტის გაიდლაინში.
3. ძუძუს კიბოს ასაკობრივი, ტაქსონომიური და სხვა ეპიდემიოლოგიური რუკების გამოყენება, კიბოს კონტროლის პრევენციული, მათ შორის სკრინინგის რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების დაგეგმარებისას, ხელს შეუწყობს ძუძუს კიბოს კონტროლის ადვოკატობას.

კვლევის მასალები და მეთოდები:

შესწავლილი იქნა კიბოს პოპულაციური რეგისტრის 2015-2022 წლების მონაცემთა ელექტრონულ ბაზები. მონაცემთა ბაზები დამუშავდა სტატისტიკურად. ჩატარდა დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური კვლევა კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (IARC, Lyon), კიბოს რეგისტრთა საერთაშორისო ასოციაციის (IACR, Lyon) და კიბოს რეგისტრთა ევროპის ქსელის (ENCR, Lyon) მიერ რეკომენდებული მეთოდიკით.

გამოანგარიშებული იქნა შემდეგი უხეში და სტანდარტიზებული მაჩვენებლები: ავადობისა და გარდაცვალების უხეში მაჩვენებელი (Crude Rate); ასაკისათვის სპეციფიკური სიხშირის მაჩვენებელი (Age-Specific Rate); ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებელი (Age-Standardized Rate - ASR); ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI ASR); შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებელი (Truncated Age Standardized Rate - TASR); შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI TASR); ასაკით კორექტირებული მაჩვენებელი (Age-Adjusted Rate- AAR); ასაკით კორექტირებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI AAR); სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდება (Standardized Rate Ratio- SRR); სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI SRR); კუმულაციური რისკის მაჩვენებელი (Cumulative Risk- CR₆₄, CR₇₄); კუმულაციური რისკის მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI CR); ინციდენტობის პროპორციული შეფარდება (Proportional Incidence Ratio- PIR); ინციდენტობის პროპორციული შეფარდებების მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

PIR); სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდება (Standardized Incidence Ratio - SIR); სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდების 95%-იანი ინტერვალი (95% CI SIR). SPSS-ს გამოყენებით შესწავლილი იქნა ძუძუს კიბოს 5-წლიანი და 3-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები, გამოყენებული იქნა Kaplan-Maier-ის მრუდები და Cox-ის Hazard Ratio. შესწავლილი იქნა ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტებში ინვალიდობით კორექტირებული სიცოცხლის წლები (DALYs). კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე საქართველოში, თბილისში, საქართველოს რეგიონებში 2015-2022 წლებში შეფასდა ძუძუს კიბოს ტვირთი (DALYs), განხორციელდა ტვირთის მაჩვენებლების სტანდარტიზაცია 100,00 ქალზე (ASR DALYs, AAR DALYs), დადგინდა 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის სპეციფიური ტვირთის (DALYs) მაჩვენებლები.

კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, 2012-2022 წლებში, ძუძუს კიბოთი დაავადებული 1,985 პაციენტის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ჩატარდა რეტროსპექტული ეპიდემიოლოგიური კვლევა, კიბოს ტაქსონომიური სტრუქტურის (ქვეტიპები: Luminal A, Luminal-B + HER2-negative, Luminal-B + HER2-positive, HER2-positive, Triple negative) თავისებურებების დასადგენად. ძუძუს კიბოს ტაქსონომიური ქვეტიპირებისთვის გამოიყენებული იქნა სიმსივნის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის მეთოდი. რომელიც ადგენს სიმსივნის 3 ძირითადი რეცეპტორის ექსპრესიას (ER, PR, HER2/new). რეცეპტორული ექსპრესიის მიხედვით დგინდებოდა ძუძუს კიბოს შემდეგი ქვეტიპები: Luminal A-ER+/PR+/HER-low ki67; Luminal B HER negative-ER+/PR+/HER-High ki67; Luminal B HER positive-ER+/PR+/HER+; Triple Negative- ER-/PR-/HER-; HER2/new positive-ER-/PR-/HER+.

HER2new რეცეპტორის მაჩვენებელი იმუნოჰისტოქიმიით შესაძლოა იყოს 0, 1+, 2+ და 3+. ნოლისა და 1+-ის შემთხვევაში HER რეცეპტორი ითლება ნეგატიურად, 3+-ის შემთხვევაში- პოზიტიურად. 2+-ის შემთხვევაში საჭიროებდა დაზუსტებას კვლევის დამატებითი მეთოდების CISH (ქრომოგენული ინსიტუ ჰიბრიდიზაციის მეთოდი) ან FISH (ფლუორესცენტული ინსიტუ ჰიბრიდიზაციის მეთოდი) გამოყენებით, რათა საბოლოოდ დადგენილიყო ადგილი ჰქონდა თუ არა ამ რეცეპტორის ექსპრესიას. დამატებით კვლევაზე ფინანსური ხელმძღვანელობის გამო 192 (9.7%) შემთხვევაში ვერ მოხერხდა ტაქსონომიური ქვეტიპის იდენტიფიცირება. ეპიდემიოლოგიური შეფასებისთვის ძუძუს კიბოთი დაავადებული 1,985 პაციენტის კლინიკურ-ლაბორატორიულ მონაცემთა dBase დამუშავდა SPSS-ის სტატისტიკური პაკეტით. მიღებული სტატისტიკური მაჩვენებლები წარმოდგენილი იქნა ცხრილების სახით, გამოსახული გრაფიკულად და გაანალიზებული.

კვლევით მიღებული ძირითადი შედეგები:

საქართველოში 2015-2022 წლებში ძუძუს კიბოს ტვირთის შეფასება პოპულაციური რეგისტრის მონაცემების საფუძველზე

კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემთა ბაზის მიხედვით (NCDC), საქართველოში 2015-2022 წლებში ორივე სქესში ყველა ლოკაციის კიბოს ახალგამოვლენილ შემთხვევათა აბსოლუტურმა რაოდენობამ სულ შეადგინა 85,251 შემთხვევა, აქედან ქალებში - 47,554 (55.8%), მამაკაცებში - 37,697 (44.2%).

საქართველოში 2015-2022 წლებში ქალებში ძუძუს კიბოს ხვედრითი წილი შეადგენს ყველა ლოკაციის კიბოს 31.2%-ს და ასკით სტანდარტიზებული მაჩვენებლის (ASR) მიხედვით იკავებს პირველ სარანგო ადგილს 10 ძირითად ლოკაციას შორის.

2015-2022 წლებში საქართველოს კიბოს რეგისტრის მონაცემებით ყველა ასაკის ქალთა მოსახლეობაში დაფიქსირდა ძუძუს კიბოს (ICD კოდებით - C50.0-C50.9) 14,873 ახალი შემთხვევა, მათ შორის თბილისში 5,859, აჭარაში 1,170, გურიაში 361, იმერეთში 1,865, კახეთში 1,055, მცხეთა-მთიანეთის 295, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში 134, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში 1,160, სამცხე-ჯავახეთში 376, ქვემო ქართლში 1,212 და შიდა ქართლში 990 ახალი შემთხვევა.

2015-2022 წლებში საქართველოს ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლებით ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჩანს, რომ საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე იზრდება ასაკის მატებასთან ერთად და აღწევს პიკურ დონეს 60 წლის ასაკის შემდეგ.

თბილისში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე იზრდება ასაკის მატებასთან ერთად და აღწევს პიკურ დონეს 60 და მეტი წლის ასაკის შემდეგ. ანალოგიური, ასაკის მატებასთან ერთად ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობისა და სიკვდილიანობის მკვეთრი მატების ტენდენდენცია აღინიშნა საქართველოს ყველა რეგიონში.

პროპორციული ინციდენტობის მაჩვენებლების მიხედვით, 0-39 წლის ასაკობრივ ჯგუფის ქალთა მოსახლეობაში, ძუძუს კიბოს ხვედრითი წონა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში, ქვეყნის საშუალო ხვედრით წონასთან შედარებით მაღალი იყო საქართველოს

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

შემდეგ რეგიონებში: აჭარაში -35.1%-ით, გურიაში- 24.6%-ით, მცხეთა-მთიანეთში- 27.1%-ით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში- 31.3%-ით.

60 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფის ქალთა მოსახლეობაში, ძუძუს კიბოს ხვედრითი წონა ონკოლოგიური ავადობის სტრუქტურაში, ქვეყნის საშუალო ხვედრით წონასთან შედარებით მაღალი იყო მხოლოდ იმერეთში- 101.3%-ით, ხოლო დაბალი აჭარაში 8.9%-ით, გურიაში- 8.1%-ით, მცხეთა-მთიანეთში- 18.3%-ით, სამცხე-ჯავახეთში-13.4%-ით, ქვემო ქართლში - 9.2%-ით, ხოლო შიდა ქართლში-14.7%-ით.

0-39 წწ. ასაკობრივი ჯგუფის ქალებში, შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით (TASR), ძუძუს კიბოს ინციდენტობის პიკები აღინიშნა თბილისში (TASR =10.4‰), გურიაში (TASR =10.0‰) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (TASR =9.9‰).

40-59 წწ. ასაკობრივი ჯგუფის ქალებში, შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით (TASR), ძუძუს კიბოს ინციდენტობის პიკები აღინიშნა თბილისში (TASR =202.8‰).

60 და მეტი წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებში, შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით (TASR), ძუძუს კიბოს ინციდენტობის პიკები აღინიშნა თბილისში (TASR =309.6‰), რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (TASR =320.6‰), შიდა ქართლში (TASR =242.7‰), აჭარაში (TASR =239.5‰) და იმერეთში (TASR =231.9‰).

0-39 წწ. ასაკობრივი ჯგუფის ქალებში, სიკვდილიანობის შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით (TASMR), ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების პიკები აღინიშნა სამეგრელო და ზემო სვანეთში (TASMR =1.6‰), გურიაში (TASMR =1.5‰), მცხეთა-მთიანეთში (TASMR =1.4‰) და იმერეთში (TASMR =1.3‰).

40-59 წწ. ასაკობრივი ჯგუფის ქალებში, სიკვდილიანობის შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით (TASMR), ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების პიკები აღინიშნა რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (TASMR =28.5‰), გურიაში (TASMR =23.6‰), კახეთში (TASMR =21.7‰), სამეგრელო-ზემო სვანეთში (TASMR =20.8‰), თბილისში (TASMR =20.4‰) და იმერეთში (TASMR =20.1‰).

60 და მეტი წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებში, სიკვდილიანობის შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების მიხედვით (TASMR), ძუძუს კიბოს მიზეზით

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

გარდაცვალების პიკები აღინიშნა რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (TASMR =98.1‰), თბილისში (TASMR =65.9‰), კახეთში (TASMR =61.4‰), აჭარაში (TASMR =59.3‰), იმერეთში (TASMR =57.2‰) და შიდა ქართლში (TASMR =54.2‰).

შესწავლილი იქნა საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR, TASMR) დინამიკა 3 ასაკობრივ ჯგუფებში: 0-39, 40-59 და 60 და მეტი წლის. 2015-2022 წწ. პერიოდი დაიყო სამ 3 წლიან პერიოდად: 2015-2017, 2017-2019 და 2020-2022 წლებად.

საქართველოში, ყველა ასაკობრივ ჯგუფში დინამიკაში (2015-2017, 2017-2019, 2020-2022) აღინიშნა ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის სიხშირეების კლების ტენდენცია.

0-39 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე შემცირდა 1.1-ჯერ, ხოლო გარდაცვალების - 2.5-ჯერ.

40-59 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე შემცირდა 1.1-ჯერ, ხოლო გარდაცვალების - 2.7-ჯერ.

60 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფებში, COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე შემცირდა 1.1-ჯერ, ხოლო გარდაცვალების - 2.7-ჯერ.

შესწავლილი იქნა თბილისში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის შეკვეცილი ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (TASR, TASMR) დინამიკა 3 ასაკობრივ ჯგუფებში: 0-39, 40-59 და 60 და მეტი წლის. 2015-2022 წწ. პერიოდი დაიყო სამ 3 წლიან პერიოდად: 2015-2017, 2017-2019 და 2020-2022 წლებად.

თბილისში ყველა ასაკობრივ ჯგუფში დინამიკაში (2015-2017, 2017-2019, 2020-2022) აღინიშნა ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის სიხშირეების კლების ტენდენცია.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

0-39 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), თბილისში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე შემცირდა 1.3-ჯერ, ხოლო გარდაცვალების - 11-ჯერ.

40-59 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), თბილისში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე შემცირდა 1.1-ჯერ, ხოლო გარდაცვალების - 4.4-ჯერ.

60 და მეტი წლის ასაკობრივ ჯგუფებში, COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), თბილისში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე შემცირდა 1.1-ჯერ, ხოლო გარდაცვალების - 3.4-ჯერ.

შესწავლილი იქნა საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების (Crude rate, ASR, AAR, ASMR, CR₀₋₆₄, CR₀₋₇₄, CR₀₋₈₅₊) დინამიკა. 2015-2022 წწ. პერიოდი დაიყო სამ 3 წლიან პერიოდად: 2015-2017, 2017-2019 და 2020-2022 წლებად.

საქართველოში ყველა ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლით დინამიკაში (2015-2017, 2017-2019, 2020-2022) აღინიშნა ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის სიხშირეების კლების ტენდენცია.

COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), საქართველოში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდებით (SRR) და ასაკით კორექტირებული მაჩვენებლების შეფარდებით (ARR) შემცირდა 1.1-ჯერ, გარდაცვალების - ასევე 1,1-ჯერ.

თბილისში, ისევე როგორც მთელ საქართველოში ყველა ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლით დინამიკაში (2015-2017, 2017-2019, 2020-2022) აღინიშნა ძუძუს კიბოს ინციდენტობის და სიკვდილიანობის სიხშირეების კლების ტენდენცია.

COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), თბილისში ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდებით (SRR) და ასაკით კორექტირებული მაჩვენებლების შეფარდებით (ARR) შემცირდა 1.1-ჯერ, გარდაცვალების - 3,8-ჯერ.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

თბილისში COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირე შემცირების მიუხედავად, 30 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით (1988-1992) ინარჩუნებს ინციდენტობის 2-ჯერ მაღალ დონეს.

შესწავლილ იქნა თბილისში 2015-2022 წწ., 2015-2017 წწ., 2017-2019 წწ., 2020-2022 წწ. და 1988-1992 წწ. თბილისის ქალთა მოსახლეობაში ძუძუს კიბოს ინციდენტობის ასაკისათვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებლების (ai) დინამიკა 30 წლის მანძილზე ოთხი შესწავლილი პერიოდის მიხედვით 3 ასაკობრივ ჯგუფში (0-39, 40-59, 60+).

34 წლის ასაკამდე 5-წლიან ასაკობრივ ჯგუფებში დაფიქსირდა ძუძუს კიბოს ინციდენტობის სიხშირეების სტაბილიზაცია, ხოლო 35 წლის ასაკიდან ყველა 5-წლიან ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა ინციდენტობის შემცირების ტენდენცია.

2015-2022 წლებში ყველა ლოკალიზაციის კიბოს შემთხვევების რაოდენობამ საქართველოში შეადგინა 47,554 ქეისი, მათ შორის თბილისში -18,059 ქეისი.

აღნიშნულ პერიოდში ძუძუს კიბოს შემთხვევების რაოდენობამ საქართველოში შეადგინა 14,873 ქეისი, მათ შორის თბილისში -5,859 ქეისი.

ძუძუს კიბოს მიზეზით 2015-2022 წლებში საქართველოში გარდაიცვალა 3,232 (21.7%), ხოლო თბილისში- 1,110 (18.9%) ქალი.

ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების (ASMR) მიხედვით, 2015-2022 წლებში ყოველწლიურად, ძუძუს კიბოს მიზეზით ყოველ 100,000 ქალზე საქართველოში გარდაიცვალა 11.2, თბილისში- 13.1 ქალი.

COVID-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში (2020-2022) პანდემიის წინა პერიოდთან შედარებით (2017-2019), საქართველოში ძუძუს კიბოთი სიკვდილიანობის სიხშირე ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდებით (SRR) შემცირდა 2.7-ჯერ, თბილისში- 3,8-ჯერ.

ასაკისათვის სპეციფიური სიხშირის მაჩვენებლების (ai) მიხედვით ყველა 5-წლიან ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების შემცირების დინამიკა.

შესწავლილ იქნა ძუძუს კიბოს 5-წლიანი და 3-წლიანი გადარჩენის ქვეყნის გასაშუალებული მაჩვენებლები და განხორციელდამათი შედარება კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის (კოი) მაჩვენებლებთან.

კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებულმა მაჩვენებელმა შეადგინა 72.9%, ხოლო კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის (კოი) -80.8%.

ძუძუს კიბოს დიაგნოზით კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში (კოი) ნამკურნალე პაციენტებს კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემებთან შედარებით 1.5-ჯერ მაღალი ჰქონდათ 5-წლიანი გადარჩენის შანსები ($p<0.001$).

კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებულმა მაჩვენებელმა შეადგინა 86.9%, ხოლო კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის (კოი) - 87.6%.

ძუძუს კიბოს დიაგნოზით კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში (კოი) და სხვა კლინიკებში ნამკურნალე პაციენტებს ჰქონდათ 3-წლიანი გადარჩენის ერთნაირი შანსები ($p>0.05$).

ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებულმა მაჩვენებელმა I კლინიკური სტადიის შემთხვევაში შეადგინა 91.5%, II სტადიის- 84.0%, III - 66.0%, IV სტადიის დროს- 44.0%.

ძუძუს კიბოს IV სტადიის დროს 5-წლიანი პერიოდის განმავლობაში გარდაცვალების რისკი 9.2-ჯერ მაღალია I კლინიკურ სტადიასთან შედარებით, 4.9-ჯერ - II სტადიასთან შედარებით, ხოლო 2.1-ჯერ მაღალია - III სტადიასთან შედარებით ($p<0.001$).

ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის (2015-2019 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებულმა მაჩვენებელმა I კლინიკური სტადიის შემთხვევაში შეადგინა 97.4%, II სტადიის- 93.3%, მე-3- 83.5%, მე-IV სტადიის დროს- 68.6%.

ძუძუს კიბოს IV სტადიის დროს 3-წლიანი პერიოდის განმავლობაში გარდაცვალების რისკი 14.2-ჯერ მაღალია I კლინიკურ სტადიასთან შედარებით, 5.5-ჯერ - II სტადიასთან შედარებით, ხოლო 2.2-ჯერ მაღალია - III სტადიასთან შედარებით ($p<0.001$).

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

ძუძუს კიბოს დიაგნოზით კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში (კოი) ნამკურნალე პაციენტებს კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემებთან შედარებით III და IV კლინიკური სტადიების დროს 1.5-ჯერ მაღალი ჰქონდათ 5-წლიანი გადარჩენის შანსები, II სტადიის დროს-2.1-ჯერ, ხოლო I სტადიის დროს 2.7-ჯერ ($p<0.001$).

ძუძუს კიბოს დიაგნოზით კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში (კოი) ნამკურნალე პაციენტებს, სხვა კლინიკებთან შედარებით, II კლინიკური სტადიის დროს 1.5-ჯერ მაღალი ჰქონდათ 3-წლიანი გადარჩენის შანსები ($p<0.05$).

კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ძუძუს კიბოს 5-წლიანი გადარჩენის (2015-2017 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებულმა მაჩვენებელმა თბილისელ პაციენტებში შეადგინა 75.3%, ხოლო რეგიონებში 70.9%. თბილისელ პაციენტებს, რეგიონებში ნამკურნალე პაციენტებთან შედარებით 1.2-ჯერ მაღალი ჰქონდათ 5-წლიანი გადარჩენის შანსები ($p<0.001$).

ძუძუს კიბოს დიაგნოზით კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში (კოი) ნამკურნალე თბილისში მცხოვრებ პაციენტებს კიბოს ეროვნული რეგისტრში აღრიცხულ თბილისში მცხოვრებ პაციენტებთან შედარებით 1.5-ჯერ მაღალი, ასევე კოი-ში ნამკურნალე რეგიონებში მცხოვრებ პაციენტებს კიბოს ეროვნული რეგისტრში აღრიცხულ რეგიონებში მცხოვრებ პაციენტებთან შედარებით 1.5-ჯერ მაღალი ჰქონდათ 5-წლიანი გადარჩენის შანსები ($p<0.001$).

კიბოს ეროვნული რეგისტრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ძუძუს კიბოს 3-წლიანი გადარჩენის (2015-2019 წწ. ინციდენტობის მიხედვით) გასაშუალებულმა მაჩვენებელმა თბილისელ პაციენტებში შეადგინა 84.0%, ხოლო რეგიონებში 80.2%. თბილისელ პაციენტებს, რეგიონებში ნამკურნალე პაციენტებთან შედარებით 1.3-ჯერ მაღალი ჰქონდათ 5-წლიანი გადარჩენის შანსები ($p<0.001$).

ძუძუს კიბოს დიაგნოზით კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში (კოი) ნამკურნალე თბილისში მცხოვრებ პაციენტებს კიბოს ეროვნული რეგისტრში აღრიცხულ თბილისში მცხოვრებ პაციენტებთან შედარებით 1.3-ჯერ მაღალი, ხოლო კოი-სი ნამკურნალე რეგიონებში მცხოვრებ პაციენტებს კიბოს ეროვნული რეგისტრში აღრიცხულ რეგიონებში მცხოვრებ პაციენტებთან შედარებით 1.7-ჯერ მაღალი ჰქონდათ 3-წლიანი გადარჩენის შანსები ($p<0.001$).

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

შესწავლილ იქნა საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით უნარშეზღუდულობით გატარებული ცხოვრების წლების რაოდენობა (YLD - Years Lived with a Disability) რეგიონების მიხედვით.

საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით 14,873 პაციენტის YLD-ის რაოდენობამ სულ შეადგინა 35,660.1 ქალიაწელი. თითოეულმა პაციენტმა უუნარო მდგომარეობაში საშუალოდ გაატარა 2.4 წელი.

უნარშეზღუდულობით გატარებული ცხოვრების წლების რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო თბილისში (13,421.6 ქალიაწელი), იმერეთსა (4,799.5 ქალიაწელი) და სამეგრელო და ზემო სვანეთში (3,047.6 ქალიაწელი).

შესწავლილ იქნა საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით ადრეული გარდაცვალების მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლების რაოდენობა (YLL - Years of Life Lost) რეგიონების მიხედვით.

საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით 14,873 პაციენტის ადრეული გარდაცვალების მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლების რაოდენობამ სულ შეადგინა 48,680.0 ქალიაწელი. თითოეულმა პაციენტმა საშუალოდ დაკარგა სიცოცხლის 11 წელი.

ადრეული გარდაცვალების მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლების რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო თბილისში (15,583.0 ქალიაწელი), იმერეთსა (7,428.0 ქალიაწელი), აჭარაში (7,428.0 ქალიაწელი) და სამეგრელო და ზემო სვანეთში (4,026.0 ქალიაწელი).

შესწავლილ იქნა საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლები (DALYs) რეგიონების მიხედვით.

საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს მიზეზით 14,873 პაციენტის დაკარგული სიცოცხლის წლების (DALYs) რაოდენობამ სულ შეადგინა 48,680.0 ქალიაწელი. თითოეულმა პაციენტმა საშუალოდ დაკარგა სიცოცხლის 5.7 წელი.

ადრეული გარდაცვალების მიზეზით დაკარგული სიცოცხლის წლების (DALYs) რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო თბილისში (29004.6 ქალიაწელი), იმერეთსა (12227.5 ქალიაწელი), აჭარაში (7587.9 ქალიაწელი) და სამეგრელო და ზემო სვანეთში (7073.6 ქალიაწელი).

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

პირველად იქნა შესწავლილი საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ასაკით სტანდარტიზებული უნარშეზღუდულობით კორექტირებული სიცოცხლის წლების (ASR DALYs) მაჩვენებელი 100 000 ქალზე.

საქართველოში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ASR DALYs მაჩვენებლის მიხედვით, ყოველწლიურად, ყოველ 100 000 ქალზე იკარგება 3,027.9 ქალიაწელი სიცოცხლე, ხოლო AAR DALYs მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 100 000 ქალზე იკარგება 4,377.7 ქალიაწელი სიცოცხლე.

პირველად იქნა შესწავლილი თბილისში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ასაკით სტანდარტიზებული უნარშეზღუდულობით კორექტირებული სიცოცხლის წლების (ASR DALYs) მაჩვენებელი 100 000 ქალზე.

თბილისში 2015-2022 წწ. ძუძუს კიბოს ASR DALYs მაჩვენებლის მიხედვით, ყოველწლიურად, ყოველ 100 000 ქალზე იკარგება 3,194.2 ქალიაწელი სიცოცხლე, ხოლო AAR DALYs მაჩვენებლის მიხედვით ყოველ 100 000 ქალზე იკარგება 4,648.5 ქალიაწელი სიცოცხლე.

ძუძუს კიბოს ტაქსონომიური თავისებურებების კლინიკური ეპიდემიოლოგიური შეფასება

კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, 2012-2022 წლებში, ძუძუს კიბოთი დაავადებული 1,985 პაციენტის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ჩატარდა რეტროსპექტული ეპიდემიოლოგიური კვლევა, კიბოს ტაქსონომიური სტრუქტურის (ქვეტიპები: Luminal A, Luminal-B + HER2-negative, Luminal-B + HER2-positive, HER2-positive, Triple negative) თავისებურებების დასადგენად.

ძუძუს კიბოს შემთხვევათა 1/3-ზე მეტი შეადგინა Luminal A ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (36.0%), 1/3 -Luminal-B + HER2-negative ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (33.9%), და 1/3-ზე ნაკლები სხვა ტაქსონომიურმა ქვეტიპებმა: Luminal-B + HER2-positive (7.9%), HER2-positive (5.6%), Triple negative (6.9%) და უცნობმა ტაქსონომიურმა ქვეტიპმა (9.7%).

2012-2022 წლებში, კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური მონაცემებით, ძუძუს კიბოთი დაავადებული 1,985 პაციენტში, სიმსივნის Luminal A ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა გურიის რეგიონში.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

სიმსივნის Luminal B ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში.

სიმსივნის Luminal-B + HER2-negative ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, კახეთის რეგიონებში და თბილისში.

სიმსივნის Luminal-B + HER2- positive ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებში და თბილისში.

სიმსივნის HER2- positive ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა აფხაზეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

სიმსივნის Triple negative ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის რეგიონებში.

სიმსივნის უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის მაღალი სიხშირე დაფიქსირდა აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში შიდა ქართლის რეგიონებში.

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. გადარჩენის საშუალო დონესთან (80.8%) შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა Luminal B (84.7%), ხოლო ოდნავ დაბალი- HER2 Positive (79.5%). 5 წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (77.6%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

5-წლიანი გადარჩენის შანსები უცნობ ტაქსონომიურ ქვეტიპთან შედარებით 3.1-ჯერ მაღალია Luminal A და 1.5-ჯერ მაღალი- Luminal B ქვეტიპების შემთხვევებში.

HER2 Positive და Triple Negative ტაქსონომიურ ქვეტიპებთან შედარებით 5-წლიანი გადარჩენის შანსები მაღალია Luminal A ტაქსონომიურ ქვეტიპის შემთხვევაში, შესაბამისად, 2.9-ჯერ და 2.6-ჯერ ($p < 0.001$).

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში, Luminal B ქვეტიპთან შედარებით 2-ჯერ მაღალია 5-წლიანი გადარჩენის შანსები და პირიქით, Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში, Luminal A ქვეტიპთან შედარებით 5-წლიან პერიოდში 2-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p < 0.001$).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ძუძუს კიბოს I კლინიკური სტადიის მქონე პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 96.7%. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (100.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5 წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (84.0%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

თუმცა, I კლინიკური სტადიის მქონე პაციენტთა 5-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკებისა და გადარჩენის შანსების (Cox Hazard Ratio -HR) ტაქსონომიური ქვეტიპების ერთმანეთთან შედარებით არ გამოვლინდა სტატისტიკური განსხვავება ($p > 0.05$).

დასკვნა: ძუძუს კიბოს I კლინიკური სტადიის დროს, ტაქსონომიური ქვეტიპების მიუხედავად მიიღწევა 5 წლიანი გადარჩენის მაღალი დონე (96.7%).

ძუძუს კიბოს II კლინიკური სტადიის პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 92.2%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (94.3%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (88.2%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში, უცნობ ქვეტიპთან შედარებით 2.2-ჯერ მაღალია 5-წლიანი გადარჩენის შანსები და პირიქით, უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში, Luminal A ქვეტიპთან შედარებით 5-წლიან პერიოდში 2.2-ჯერ მაღალია გარდაცვალების რისკი ($p = 0.042$).

ძუძუს კიბოს III კლინიკური სტადიის მქონე პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 75.3%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (83.2%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა Triple Negative (60.5%) და უცნობი (67.6%) ტაქსონომიური ქვეტიპების დროს.

Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში, Triple Negative ქვეტიპთან შედარებით 2.9-ჯერ, უცნობ ქვეტიპთან შედარებით 2.3-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპთან შედარებით 2.0-ჯერ და Luminal B ქვეტიპთან შედარებით 1.6-ჯერ მაღალია 5-წლიანი გადარჩენის შანსები.

Luminal A ქვეტიპის შემთხვევაში, Triple Negative ქვეტიპთან შედარებით 3.6-ჯერ, უცნობ ქვეტიპთან შედარებით 2.7-ჯერ და HER2 Positive ქვეტიპთან შედარებით 2.9-ჯერ მაღალია 3-წლიანი გადარჩენის შანსები.

ძუძუს კიბოს IV კლინიკური სტადიის მქონე პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 57.1%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (98.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (25.0%) და Triple Negative (50.0%) ტაქსონომიური ქვეტიპების დროს.

Luminal A ქვეტიპთან შედარებით მკურნალობიდან 5-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკი 93.7-ჯერ მაღალია უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში, 40.4-ჯერ- Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში, 31.4-ჯერ HER2 Positive ქვეტიპის დროს და 20.4-ჯერ Luminal B ქვეტიპის დროს.

ძუძუს კიბოს შემთხვევათა ¼-მდე (24.7%) ქეისში სიმსივნის დიფერენცირების ხარისხი შეესაბამებოდა საშუალოს (G2), ხოლო ¾-მდე (74.7%) ქეისში იყო დაბალ-დიფერენცირებული (G3).

ძუძუს კიბოს საშუალო ხარისხით დიფერენცირებისას (G2) პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 75.8%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (76.3%) გამოვლინდა უცნობი ტაქსონომიური ქვეტიპის დროს.

Luminal A ქვეტიპთან შედარებით უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 3.3-ჯერ მაღალია 5-წლიან პერიოდში გარდაცვალების რისკი (p=0.001).

ძუძუს კიბოს დაბალი დიფერენცირებისას (G3) პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 82.3%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.0%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (75.8%), Triple Negative (75.8%) და HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (76.6%) დროს.

Luminal A ქვეტიპთან შედარებით 5-წლიან პერიოდში უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 2.5-ჯერ, Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში 2.5-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 2.4-ჯერ, Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში 1.7-ჯერ, მაღალია გარდაცვალების რისკი (p=0.001).

ძუძუს ინვაზიური სადინროვანი კარცინომის დროს პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 80.8%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (87.8%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (73.2%), Triple Negative (75.0%) და, განსაკუთრებით, HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (68.9%) დროს.

Luminal A ქვეტიპთან შედარებით 5-წლიან პერიოდში უცნობი ქვეტიპის შემთხვევაში 2.5-ჯერ, Triple Negative ქვეტიპის შემთხვევაში 2.3-ჯერ, HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 3.0-ჯერ, Luminal B ქვეტიპის შემთხვევაში 1.9-ჯერ, მაღალია გარდაცვალების რისკი (p=0.001).

გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 90.5%. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (95.6%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (87.5%) და, განსაკუთრებით, HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (71.4%) დროს.

HER2 Positive ქვეტიპის შემთხვევაში 8.0-ჯერ, Luminal A ქვეტიპთან შედარებით, და 5-ჯერ Triple Negative ქვეტიპთან შედარებით მაღალია გარდაცვალების რისკი (p=0.001).

40-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში პაციენტთა 5-წლიანი გადარჩენის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 81.0%. გადარჩენის ანალიზის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (92.1%) დაფიქსირდა ძუძუს კიბოს Luminal A ქვეტიპის დროს. 5-წლიანი გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა უცნობი (76.8%) და HER2 Positive ტაქსონომიური ქვეტიპების (79.0%) დროს.

ძუძუს კიბოს ტვირთი და ტაქსონომიური თავისებურებები

